სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 17 ნოემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერა [illegible] უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, [illegible] яш. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 249 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 249

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ფოთში, ადგილობრივ სასაფლაოზე 6 ნოემბერს (ძველი სტ.). დღის 3 საათ გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი მუდამ სახსოვრის ჩვენი პაწია

არჩილ აკაკის ძე რუხაძის

სულის მოსაგონებლად. რასაც აუწყებენ ნათესავ მეგობართ და ამხანაგებს: დედა მარიამ (ნატაშა) და მამა აკაკი პავლეს ძე რუხაძე. 2—2

ღრმად დამწუხრებული დაი პელაგია ანთაძის-მახარაძის ასული, დისწულები: მალხაზ, ალექსი და გერასიმე ალმასხანის ძენი ანთაძეები უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელი ძმის, ხოლო მეორენი ძვირფასი ბიძის

მელქისედეკ ივანეს ძე მახარაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება სოფელ ქვედა-ბახვში, 17 ნოემბერს (ახ. სტ.), ნაშუადღევის 3 საათზე.

გულ დათუთქული ძმის წული სიმონ ალმასხანის ძე გაბუნია მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და ნათესავთ, მისი გამზრდელი ბიძის „ტიტულიარნი სოვეტნიკის“

სოლომონ სიმონის ძე გაბუნიას

გარდაცვალებას, რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია სამშაბათს, 19 ნოემბერს (ახ. სტ.). დასაფლავება სოფელ ონოღიაში, იოანე ნათლის-მცემლის ეკლესიის გალავანში.

ქეთო ილიას ასული გაბუნიასი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ მეუღლის „ტიტულიარნი სოვეტნიკის“

სოლომონ სიმონის ძე გაბუნიას

გარდაცვალებას, რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია სამშაბათს, 19 ნოემბერს (ახ. სტ.). დასაფლავება ს. ონოღიაში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში.

გულ დათუთქულნი: სპირიდონ ალექსის ძე გუკუშვილი, მაკრინე გაბუნიას ასული, ილიკო და ხალამპრი სპირიდონის ძე გუკუშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 ნოემბერს, საკუთარ სახლში, ს. ონოღიაში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ცოლის ძმა ხოლო უკანასკნელის საყვარელი გამზრდელი „ტიტულიარნი სოვეტნიკი“

სოლომონ სიმონის ძე გაბუნია

რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია 19 ნოემბერს. დასაფლავება ს. ონოღიაში იოანე ნათლისმცემლის ეკლ. გალავანში.

ღრმად დამწუხრებულნი ეფრემ დავითის ძე ონიაშვილი, დავითი თავის ოჯახობით, გიორგი, ივანე, ელისაბედი, დარო, მარიამ ონიაშვილი, იაკობ და ნინო ტატიშვილი, თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 ნოემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თფილისში გარდაიცვალა მეუღლე პირველისა, ხოლო დანარჩენების ძვირფასი დედა

ეკატერინე ზაქარიას ასული ონიაშვილი.

დაკრძალვა მოხდება ქ. გორში.

მწუხარებით გულ მოკლული მშობლები: იოსებ გიორგის ძე და ალექსანდრა გაბრიელის ასული, შვილებით: გოგი და ელენეთი და პაპა გიორგი სტეფანეს ძე ირემაშვილები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 15 ნოემბერს, გარდაიცვალა მათი საყვარელი პირველი გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფე

მარუსა იოსების ასული ირემაშვილი.

მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს, დილის 12 საათზე, თავის ბინიდან (დავითის შესახვევი № 3), ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ელიონორა ნინიძე, ცუციკო ქარცივაძე და ყველა პირველი ქალების გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფეები აუწყებენ თავიანთ ამხანაგ მეგობრებს, რომ 15 ნოემბერს მცირე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მე-4 კლასის მოწაფე

მარუსია ირემაშვილი

გამოსვენება მოხდება დღეს დილის 12 ს. ქვაშვეთის ეკლესიაში, დასაფლავება კი წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

ადგილობრივი საქმეები

ადგილობრივ გამაგრება მთავრობისა, ერთი უდიდესი და უმძიმესი საკითხთაგანია ჩვენი სახელმწიფოებრივობის აღმშენებლობისათვის. ცენტრში ჩვენ რამდენიმეთ მაინც წელმომაგრებული ვართ. აქ ასე თუ ისე აპარატ აწყობილია და მუშაობს. იცემა კანონები, განკარგულებები, ბრძანებანი, ერთი სიტყვით, კანონმდებლობის და მართველობას ყველა ფუნქციები სრულდება. მაგრამ, ადგილობრივ, იქ, სადაც მასსის გულია, იქ, სადაც ხალხი, ეს საფუძველი და სიმაგრე ყოველი სახელმწიფოსი, ფუსფუსებს, საქართველოს ცენტრის შემოქმედების ნაყოფს ჯერაც არ მიუღწევია. სოფელი ისევ ჩამოშორებულია ახალ ცხოვრების ყოველ ნაკვთს, ყოველ დაწყებულებას.

სოფელი ისევ ისეთი მართველობის ფარგლებშია დარჩენილი, როგორიც მას რევოლიუციის პირველმა დღეებმა უანდერძა. ძველი აპარატი მოშლილია, ახალი კი არა სჩანს.

კომისრების ინსტიტუტმა უკვე ერთნაირათ ამოსწურა ყოველი შესაძლებლობა, რომლის მოლოდინიც კი მისგან შეიძლებოდა. უნდა ვთქვათ, თვით საუკეთესო მათგანიც კი ვერ ჩანს მინიმუმს იმ შემოქმედებისას, ურომლისოთ სოფლის ცხოვრება ანარქიულ ტალღის რხევათ იქცევა.

და სოფელი, მისი უდიდესი ნაწილი მაინც, მართლაც ანარქიულ მდგომარეობაში იმყოფება.

დღეს აღარა აქვს ადგილი სოფლად იმ გამოსვლებს, რომელიც ყოველ ანარქიას ახასიათებს, იმ არეულობას, რომელიც გასულ ხანებში გვამცნობდა ხოლმე ადგილობრივ ცხოვრების მოუწყობლობის ყველა დეფექტებს. მაგრამ ეს შედეგია ერთი მხრით ანარქისტულ ელემენტების გარკვევისა შეიარაღებულ ძალების მიერ და მეორე მხრით, სოფლის გაძღომისა.

უკანასკნელ თვეებამდე იგი შიმშილობას სიმწვავეს განიცდიდა, ცხოვრება ემწარებოდა და ამიტომ ყოველ ავანტიურას იოლათ მიჰყვებოდა. ახლა იგი უხვი მოსავლის წყალობით ერთთავათ მაძღარია და მაგრე რიგად არეულობისაკენ მოწოდებას აღარ გაჰყვება.

მაგრამ განა მარტო ამით განისაზღვრება სოფლის ცხოვრების მოწესრიგება?

განა მარტო ის კმარა, რომ სოფელი თოფის ზუზუნით არ გვამცნობს თავის სიდუხჭირეს?

რასაკვირველია არა.

ამის გარეშე კი მას არაფერი მიუღია. საჭიროება კი მრავლის უმრავლესია. ცენტრის განკარგულებანი ეხებიან ხშირათ ამ საჭიროებათა მთელ რიგ დარგებს, როგორიც არის კანონი ფოსტის, სამკითხველოების გახსნის, სკოლების დაარსების და სხვ. მაგრამ ერთი თვალის გადავლება სოფელზე კმარა იმაში დასარწმუნებლად, რომ ამ განკარგულებებისა სოფელმა უმეტეს შემთხვევაში არც კი იცის რაიმე. მის ყურამდე ცნობას არ მიუღწევია. მისთვის ამ მხრივ უმეტეს ნაწილად არაფერი გაკეთებულა. არის ბევრგან სკოლებიც უმასწავლებლოდ დარჩენილი და ყურისმგდებელი არავინ ჰყავს. სოფელს აქვს წყურვილი, მისწრაფება თავის პროგრამაზე ზრუნვის, მაგრამ არ იცის, ვის მიჰმართოს, სად წავიდეს, ვინ არის ამ საქმის გამძღოლი და მეპატრონე.

და ყოველივე ამის გამო—იგი ვერ გრძნობს მთავრობის ხელს, მისი არსებობის და მოქმედების ნიშნებს. ვიმეორებ, კომისრებს არ შეუძლიათ მათ ეს ხელი აჩვენონ. გარდა პოლიტიკური ფუნქციებისა, ისინი ვერაფერს აკეთებენ, ხოლო სოციალურ უკმაყოფილების ჩაქრობა პოლიციური ზომებით, იწვევს მხოლოდ მცხოვრებთა გაბოროტებას, უკმაყოფილების გულში ჩახრჩობას, და ამით დიდ დაბრკოლებებს უმზადებს ჩვენს მომავალს. ამ მდგომარეობის შეცვლა აუცილებელია.

და ეს შეცვლა ახლად არჩეულმა ერობებმა უნდა იკისრონ—ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა. იგინი უნდა გაიქცენ ადგილობრივ მთავრობათ, რომელთაც შეუძლია უდიდესი ნაწილი სოფლის მოთხოვნილებისა თვით დააკმაყოფილონ, დანარჩენებზე კი შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე. სამწუხაროთ, ერობებს, იქაც, სადაც იგინი შესდგა, არ მიუღია თავის ქონება, არ ჩაუბარებია თავის საქმეები, არ გადასცემია მათ ყოველი ადგილობრივი სამუშაოები. თუმცა იგი არჩევნების მეორე დღესვე უნდა გადასცემოდა, მთელი თავისი კრედიტებით.

ასეთი დაგვიანება პირდაპირ მომაკვდინებელი არის საქმისათვის.

ერობა არსებობს, ხმა გავარდა რომ არსებობს, ხოლო მოქმედება მისი არ სჩანს და სრულიად უსაფუძვლოდ უტყდება სახელი ნორჩ დაწესებულებას, რომელიც სიმაგრეს და საფუძველს შეადგენს ჩვენი წყობილებისას და რომელსაც უპირველესათ უნდა ჰქონოდა ყურადღება მიქცეული.

ახლა მაინც დაყოვნება ამ საქმეში აღარ შეიძლება.

სოფელი ბევრს არ ითხოვს. იგი მომთმენია და მცირედითაც კმაყოფილდება. ვინც მას ერთ გზას მაინც გაუკეთებს, ერთხელ მაინც ბეითალს ან ექიმს დროზე გაუგზავნის საექიმოთ, ან ერთ სკოლას დროზე და უდავიდარაბოთ გაუხსნის, იგი მას აღტაცებით შეხვდება და სრულის ნდობით მოეპყრობა შემდეგაც ყოველ მოქმედებაში.

ერობებს ამ მხრივ შეეძლოთ დაუყოვნებლივ გამოეჩინათ ინიციატივა, თაოსნობა, საქმიანობა, რომ შებორკილი არ იყვნენ საქმის გადაუცემლობით.

არ შეიძლება ორი სამი პატრონი ჰყავდეს ერთ საქმეს: „ერთმანეთისა ცქერითა, სახლი აივსო მტვერითა“, ამბობს ანდაზა. ახლა ემართება სოფელსაც, ცენტრალური მართველობა შესცქერის კომისრებს, კომისრები ერობის მოლოდინში სდუმან. ერობა კი ცენტრის შემწეობას სდევს და ხელი ვერ გაუნძრევია. თვეები კი მიდის, ისეთი თვეები, რომელნიც საუკუნოებს უდრიან თავის მნიშვნელობით და შინაარსით. და ამას უნდა დაედევნოს მალამო. ადგილობრივი საქმე ყოველი, ერობისაა და რაც ადრე და მალე ჩაბარდება მას, მით მოიგებს სოფელიც და სახელმწიფოც. დაყოვნება ამ საქმეში შეუძლებელია.

ოსმალეთის კაპიტულაცია და ამიერ-კავკ. საკითხი

ოსმალეთის კაპიტულაციის პირობებში, სხვათა შორის, ისეთი მუხლებიც არის, რომლებიც შეეხება ამიერ კავკასიას საზოგადოთ და საქართველოს რესპუბლიკას, კერძოთ.

ერთს მუხლში მოხსენებულია ამიერ-კავკასიის ყველა რკინის გზები, რომელიც დღეს ოსმალთა განკარგულებაშია: გამარჯვებულ სახელმწიფოთა კოალიცია მოითხოვს, რომ ეს რკინის გზები ოსმალეთმა „უნდა გადასცეს სრულს განკარგულებაში მოკავშირეთა მთავრობას“.

მეორე მუხლი შეეხება ქ. ბათუმს და ბაქოს: „ოსმალებმა აუცილებლათ უნდა დასცალონ ბათუმი და ბაქო“.

გამარჯვებულ კოალიციის სახელმწიფოებს ჯერ არ უთქვამთ თავისი სიტყვა ამიერ-კავკასიის საქმეების შესახებ. ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორ უყურებენ ისინი იმ სახელმწიფოებს, რომელიც ამიერ-კავკასიის ფარგლებში დაარსდა. თუ ვილსონის პროგრამა, რომლის განხორციელებაზე პრინციპიალური თანხმობა გამოაცხადეს ინგლის საფრანგეთმა, ცარიელი სიტყვები არ არის, გამარჯვებული სახელმწიფოები მოვალენი არიან ანგარიში გაუწიონ იმ პატარა ერების სახელმწიფოებს, რომლების უფლებებიც უნდა დაცულ იქნას თანახმად ვილსონის პროგრამისა. თუ ინგლის საფრანგეთი ამ თვალსაზრისით შეხედ ვენ ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ მცირე ერთა საქმეებს, ისინი, უეჭველია, გაიხსენებენ, რომ ოსმალები მიმდინარე წლის დასაწყისში შემოიჭრენ ამიერ-კავკასიაში და ჩამოკვეთეს მას ყარსის, არდაგანის და ბათუმის ოლქები, ქ. ბათუმითურთ, ერევნის გუბერნიის ნაწილი, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები. ოსმალთა ჯარების ეს მოქმედება ცარიელ სამხედრო ძალაზე იყო დაყრდნობილი. შეთანხმება, რომელიც უნდოდა ჩამოეგდო ოსმალეთის მთავრობას, მაგ., საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან, საქართველოს პარლამენტმა არ სცნო და რატიფიკაცია არ მოახდინა. მაშასადამე, ოსმალთა ჯარების მიერ დაპყრობილ ადგილების დატოვებით, ეს ადგილები, სამართლიანობის ძალით, მექანიკურათ უნდა შევიდნენ ისევ იმ ადმინისტრატიულ ფარგლებში, რომლებიც არსებობდენ ოსმალთა შემოსვლამდის. ალექსანდროპოლ ჯულფას რკინის გზა, რომელიც ოსმალთა ჯარებმა ძალით დაიჭირეს, უნდა დაუბრუნდეს სომხეთის რესპუბლიკას, რომლის ფარგლებშია იგი გაყვანილი, ბათუმის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიც უნდა დაუბრუნდეს საქართველოს რესპუბლიკას, რომელსაც იგი ოსმალებმა წაართვეს. ინგლის საფრანგეთი, თუ კი ისინი მართლაც იზიარებენ ვილსონის პროგრამას, მოვალენი არიან ყველა ამ საკითხების გადაჭრა ამიერ-კავკასიაში არსებულ სახელმწიფოებთა შეთანხმებით მოახდინონ და არა გამარჯვებულ კოალიციასა და ოსმალეთს შორის ჩამოგდებულ ხელშეკრულობის ძალით. ბათუმ-ბაქოს, ყარსს-არდაგან ბათუმის ოლქების, ახალქალაქ ახალციხის მაზრების, ერევნის გუბერნიის ნაწილის და რკინის გზის ბედი, უპირველესად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შეეხება და მათ დაუკითხავათ ამ საკითხების გადაჭრა აშკარა ძალადობა იქნებოდა გამარჯვებულ კოალიციის მხრით მცირე ერების მიმართ!

ჯარი და საბჭო

გერმანიის რევოლიუციამ წარმოშვა ჯარისკაცთა საბჭოები ისე, როგორც ეს იყო გასულ წელს ჩვენში.

რუსის ჯარის წასვლასთან ერთად, ეს საბჭოები ჩვენში გაჰქრა. რუსეთშიაც იგი სავსებით მოიშალა. იქ დარჩა მხოლოდ აქა-იქ წითელ არმიელთა კომიტეტები, მაგრამ მათი მდგომარეობაც გაურკვეველია და მოუწყობელი. უნდა შესდგეს ჯარის საბჭოები ჩვენში, საქართველოს ახალგაზრდა ჯარშიაც, თუ არა?

ცხადია, ამ საკითხს დღეს ყველა დასვამს თავის წინაშე.

და ჩვენ გვინდა ამ ჟამათ მოკლეთ გავსცეთ ამას პასუხი. ჩვენ გვგონია, რომ საბჭოები რამდენათაც საჭიროა გერმანელებისთვის ამ ჟამათ, იმდენათ მავნებელი და გამოუსადეგარი იქნება ჩვენი ახალი ჯარისათვის.

მიზეზი ამისა ჩვენთვის აშკარაა. ჩვენი მდგომარეობა აქ ჰგავს გერმანიისას.

საბჭოების არსებობა მიზანშეწონილია გერმანიის ჯარისათვის, რადგან იქ ახლა იწყება დაშლა ძველის, დანგრევა არსებული წყობილების და ამ რიგათ, ნიადაგის გაწმენდა მომავლისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდენ ჩვენშიაც საბჭოები გასულ წლის თებერვლიდან. მაგრამ ახლა ჩვენ სხვა პირობებში ვიმყოფებით. იქ ნგრევის პროცესია, ჩვენში აღმშენებლობის, იქ წარსულს ებრძვიან, ჩვენ ახალს ვაშენებთ, იქ ძველ ტრადიციებს სპობენ, ჩვენ ახალ ტრადიციებს ვქმნით, იქ ჯარში უნდა მოისპოს მონობის ნაშთები, ჩვენ კი ახლა ვქმნით თავისუფალ ჯარს თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოსათვის.

მუდმივი ჯარი არ არის ჩვენთვის მიზანი, არც კერპი, არც უძლეველი და [illegible]. იგი წარმოშობილია მხოლოდ ჩვენი ნორჩი თავისუფლების გასამაგრებლად. იგი ახლა კი არ ეძიებს ამ თავისუფლებას, არამედ ემსახურება ამ თავისუფლების მჭედელთ. მისი დისციპლინა ნიშნავს დემოკრატიისთვის დამორჩილებას, დემოკრატიისთვის სამსახურის გაწევას.

მაშასადამე, აქ მეორე ხანაა რევოლიუციის. იქ—გერმანიაში კი, პირველი.

და ამ განსხვავების გამო, ჩვენ ვემხრობით და აღტაცებით ვეგებებით გერმანელთა საბჭოებს, მაგრამ ასეთი გრძნობით ვერ შევეგებებით ამ ჟამად ქართველ ჯარებში ასეთი იდეების და მოქმედების გავრცელებას.

ჩვენ ორივე შემთხვევაში გვამოძრავებს ერთი ინტერესი: ინტერესი ხალხის, დემოკრატიის, მისი გაძლიერების და განმტკიცების.

ჩვენი მთავრობის არსებითი სურვილია სამილიციო სისტემის შემოღება, მაგრამ დღეს შექმნილი პირობები გვაიძულებენ ეს საკითხი მომავლისთვის გადავდოთ. თუ საზავო კონფერენციამ ევროპაში შესაფერი ნაყოფი გამოიღო და ერთაშორის მშვიდობიანობას მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა, მუდმივი ჯარის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი დაისმება ჩვენშიაც.

მანამდი კი, ჩვენი ახალგაზრდა თავდადებული, სახელოვანი ჯარი უნდა იდგეს, როგორც სალი კლდე დამცველად ჩვენი თავისუფლებისა და არსებობისა.

პრესა

„ზნამია ნაროდა“-ში ვ. ხუდადოვს სურს დაამტკიცოს, რომ ქალაქის თვითმართველობამ მილიციონერებს დაურიგა ჯამაგირები, სხვა მოსამსახურეებს არა. ქალაქს ფული არ მოეპოვება. სად არის ხსნა? ადგილობრივი ბანკების საშუალებით სესხის აღებაში.

„მაგრამ ამიერ-კავკასიის დაშლასთან ერთად, ადგილობრივი კაპიტალი გახდა უცხო კაპიტალი, ვინაიდან თფილისის ბანკები უმთავრესად იმყოფება იმ ერის წარმომადგენელთა ხელში, რომელთა ძალადობაზე ბევრს სწერენ ადგილობრივი გაზეთები.

მეორე საშუალება ბ-ნ ხუდადოვის აზრით, ბონების საბეჭდავი მანქანაა, მაგრამ უბედურება იმაში ყოფილა თურმე, რომ საქართველოს მთავრობას ერთი საბეჭდავი მანქანის მეტი არ გაჩნიაო. აქ საკითხს ასე აყენებს:

„სად დაიკარგა ბიხოვის მანქანა? ნუ თუ ეს მანქანა ვერ დაბეჭდავს ნამდვილ ბონებს, როცა ის ყალბს კარგათ ბეჭდავდა?“

როგორც ხუდადოვი გადმოგვცემს, გამოსავალი გზა აღარ ყოფილა, ვინაიდან მთავრობას უთქვამს—თფილისის თვითმართველობას საკუთარი ბიუჯეტი უნდა ჰქონდესო. ხუდადოვმა კი ასეთი საშუალება გამონახა: თუ მთავრობას არ აინტერესებს თფილისის ბედი

„უკეთესი იქნება ვიდრე ამ ქალაქს საკუთარ სატახტო ქალაქად გახდიდეს მთავრობა, გამოაცხადოს ის თავისუფალ ქალაქად. ამ შემთხვევაში ის მცირე ეროვნებანი, რომლებიც თფილისში უმრავლესობას შეადგენენ და უცხოელები არიან, გახდებიან სრულუფლებიანი მოქალაქენი და შეეცდებიან, რომ სამშობლო ქალაქი სახელმწიფო განაპირა ცენტრიდან, რომელიც ვერ სწვდება სავსებით ორ გუბერნიასაც, გახდეს დიდი ქვეყნის ცენტრი“.

ამაზე უთქვამს ხალხს—სასაცილო სხვას დასცინოდაო.

ბ. ხუდადოვს აინტერესებს ბიხოვის მანქანა, თუ ვის ხელშია ის. ალბათ დინამიტით მოვაჭრე იმ სპეკულიანტის ხელშია, დაგირავებული, რომლიდანაც ძეგლის ხიდის ასაფეთქებლათ დინამიტი იყიდეს.

— ეროვ.-დემოკრატები შედიან საარჩევნო კამპანიაში. სპ. კედია და ნიკო ნიკოლაძე უკვე იყვნენ ქუთაისში საავიტაციოთ. „საქართველოს“ გადმოცემით

„აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი კრების დარბაზში, დიდძალი ხალხი ტალანში იდგა მთელი დროს განმავლობაში და ყურს უგდებდა მომხსენებელთ“.

სპ. კედიას უთქვამს—მომავალ დამფუძნებელ კრებაში ჩვენ უნდა შევადგინოთ უმრავლესობა, სოციალისტები ჩვენს საქმეს აკეთებენ და გვაყვედრიან ამას—ვიხსნათ ეს ხალხი ამ ტანჯვისაგან.

„დასასრულს კრებამ დიდის აღფრთოვანებით აირჩია სხვადასხვა პროფესიიდან საქმიანი მოღვაწე კომისია, რომელსაც დაევალა არჩევნების საწარმოებლად ნივთიერ საშუალებათა გამოძებნა, საარჩევნო ორგანიზაციის მოწყობა“.

ასე რომ, საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო.

— კადეტ. „რეჩ“-ის აზრით „გერმანია [illegible]“, გაიმარჯვა ინგლისმა. ეს კი გაზეთის აზრით, თავისუფლების, თვითმართველობის, ავტონომიის, ერთა თავისუფალი კულტურული განვითარების პრინციპთა გამარჯვებაა.

ჩვენ გვგონია: თუ ინგლისის იმპერიალიზმს ძალა არ დაატანა ინგლისის დემოკრატიამ, ყველა ის თავისუფლებანი, რომლებზედაც „რეჩი“ იხსენიებს, რა თქმა უნდა, ქაღალდზე დაწერილი დარჩება. მაგრამ „რეჩის“ იმპერიალისტები ამით რას დაჰკარგავენ?

— დაშნაკელ. „აშხატავორმა“ ვრცელი წერილი უძღვნა იმ შეკითხვას, რომელიც სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა პარლამენტში. დაშნაკელთა პრესის აღვირ-ახსნილი აგიტაციის გამო.

ნაციონალ დემოკრატები, მენშევიკები, მუსავატელები, ბეგები, თავადები და სხვები გაზეთმა ერთ სკამზე მოათავსა და დასკვნა ასეთი გააკეთა: ეს შეკითხვა მიმართული იყო სომხების წინაამდეგ, ის „თავდასხმა იყო სომხის ხალხზეო“.

ი. წერეთლის სიტყვას „აშხატავორ“-ი უწოდებს პროვოკატორულს.

ბევრი ამგვარი „მარგალიტებია“ ხსენებულ წერილში, მაგრამ ყურადსაღები ისაა, რომ სომხის ხალხის დაცვაზე საზოგადოთ, სომხის ხალხის სახელით დაპირაპზე დაშნაკელთა ორგანო მაშინაც კი არ იღებს ხელს, როცა დაშნაკცუტიუნის პარტია სომხის ხალხისთვის დამღუპველ, პირდაპირ სულელურ ნაბიჯებს სდგამს...

გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოს წარმ. ს.-დ. ყრილობაზე

15 ნოემბრის საღამოს სხდომაზე, ამხ. კ. კანდელაკის მოხსენების შემდეგ, ფინანსიურ საკითხზე, ყრილობის თავმჯდომარე ამხ. კ. ჩხეიძე აცხადებს, რომ აქ, ყრილობაზე, არის გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენელი.

ჩვეულებრივი საქმიანი სხდომა უეცრად ტრიუმფად გადაიქცა. მთელი ყრილობა ფეხზე ადგომით ოვაციას უმართავს გერმანიის რევოლიუციის ერთგულ შვილს.

კ. ჩხეიძე ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენელს დახლოვებით შემდეგი სიტყვით მიმართავს: „თქვენ გახსოვთ 1917 წ. 14 მარტის ისტორიული დღე. ამ დღეს პეტროგრადის რევოლიუციონერ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ მსოფლიო პროლეტარიატს მიმართა ცნობილი მანიფესტით. ამ მანიფესტში ჩვენ მოვუწოდებდით ევროპის ამხანაგებს გამოგვხმაურებოდნენ, საჩქაროთ მოეთხოვა ზავი, ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აშენებული და ამით მოგვეღო ბოლო იმ სისხლის ღვრისა,

რომელშიც დღესაც სცურავს მსოფლიო პროლეტარიატი, მსოფლიო დემოკრატია. ამის შემდეგ დიდმა დრომ განვლო, ბევრი რამ განვიცადეთ... ბევრმა ქარიშხალმა გადაიარა ჩვენს თავზე... და ჩვენ მაინც გვასულდგმულებდა ის ღრმა რწმენა, რომ 14 მარტის ისტორიული მოწოდება არ დარჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. გვიან, მარა ამ მოწოდებამ მაინც ჰპოვა გამოხმაურება. გერმანიაში მოხდა დიდი რევოლუცია (ხანგრძლივი ტაში). ძველი მთავრობა გადააყენა გერმანიის დემოკრატიამ. სათავეში არიან ბრძოლაში გამობრძმედილი ჩვენი ამხანაგები (ტაში). როგორც ჩვენ, იმათაც ძნელ პირობებში უხდებათ მუშაობა. თუ ჩვენ დიდ დაბრკოლებას წავაწყდით რევოლუციის მონაპოვრის შენარჩუნებაში, ძნელი შეიქნა ჩვენი მუშაობა, მაგრამ გვწამს გერმანიის ჩვენი მასწავლებლები გადალახავენ ყოველივე დაბრკოლებებს. ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ გერმანიის რევოლუციას არ ეწევა ის ბედი, რაც ეწვია რუსეთისას. ობიექტიური პირობები გერმანიისა ამას ამტკიცებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, გერმანიის პროლეტარიატი არ დამარცხდება ამ ზავის დროს, რადგან მსოფლიო პროლეტარიატი ამას ანგარიშს გაუწევს, იმპერიალიზმს არ მისცემს ნებას ფეხქვეშ გასრისოს გერმანიის კულტურული დემოკრატია. კიდევ მეტს ვეტყვი: კულტურულად და ეკონომიურად ძლიერი გერმანიის ხალხი ასე ადვილათ არ დაეცემა. მე ვათავებ ჩემს სიტყვას შემდეგით, რომ გერმანიის ხალხმა ჩვენს დემოკრატიას დაუვიწყარი ამაგი დასდო იმით, რომ ააცდინა არამც თუ ომს, არამედ—სასირცხვილო სიკვდილიც. ამით მათ გაუწიეს დახმარება თვით რუსეთს, რადგან ეს ერთად-ერთი კუთხეა, სადაც კიდევ ღვივის რევოლუციის ცეცხლი და აქედან ისმის რუსეთის დემოკრატიის სასარგებლოთ ძლიერი ხმა. მადლობას ვწირავ მათ ყრილობის სახელით და ვეცდებით ჩვენი მცირე, მაგრამ რევოლუციის ცეცხლში ნაწრთობი ძალებით გავუწიოთ დახმარება. (ხანგრძლივი ტაში) კ. ჩხეიძის სიტყვა ქართულად წარმოთქმული, ნემეცურად გადათარგმნა ამხ. ნ. რამიშვილმა.

გერმანელ ჯ.-კ. საბჭ. წარმომადგენელი შემდეგს საპასუხო სიტყვას ამბობს, რაც ქართულად ნოე რამიშვილმა გადმოთარგმნა: „ამხანაგებო! მე აქ მოვედი მოგესალმოთ თქვენ, საქართველოს რევოლუციონურ დემოკრატიის გაწვრთნილ ხელმძღვანელებს. მე უკვე გავეცან თქვენს მუშაობას და დავრწმუნდი, რომ თქვენ ეომებით მსოფლიო იმპერიალიზმს. გერმანიის პროლეტარიატი თქვენ მხარს გიმაგრებთ. სალამი თქვენ (ტაში). მე ვამბობ, რომ რაც ახლა გერმანიაში ხდება, განსხვავდება რუსეთის, მარა უფრო სხვა, ღრმა შინაარსით, და ფართე მასშტაბით. იმედი გვაქვს გერმანიის რევოლუციონურ პროლეტარიატს დაეხმარებიან სხვა ქვეყნის ამხანაგები და ძლეული იქნება იმპერიალიზმი". (ხანგრძლივი ტაში). ამის შემდეგ ამხანაგი ყრილობას გამოეთხოვა. ცოტა ხნის შემდეგ დარბაზში ამხ. ნ. იმნაიშვილის წინამძღოლობით შემოდიან გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოს წევრები (4 კაცი) ყრილობა მათაც ფეხზე ადგომით ოვაციას უმართავს.

გერმანელი ჯარის კაცი მიესალმა ყრილობას (სიტყვა გადათარგმნა ქართულად ნ. იმნაიშვილმა:) „ამხანაგებო! მოგესალმებით საქართველოს ს. დ. მ. პ. ყრილობას და გისურვებთ მუდმივ კავშირში ყოფილიყოთ გერმანიის ს.-დემოკრატიასთან ჩვენ ასეთივე გრძნობებით მივესალმეთ დღეს ჩვენი პარტიის ბელადს ნ. ჟორდანიას მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრის დარბაზში. იმედი მაქვს, რომ ჩვენ, გამოცდილ ხელმძღვანელების და ჩვენი მაგარი ორგანიზაციების წყალობით, მსოფლიო ომიდან გამარჯვებულნი გამოვალთ. დიდ მადლობას გწირავთ, ამხანაგებო, ასეთ არაჩვეულებრივ თბილ გრძნობებით შეხვედრისათვის.

გაუმარჯოს პროლეტარიატის ხელმძღვანელ ს. დემოკრატიულ პარტიას!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!"

კ. ჩხეიძემ ამათაც შემდეგი მოკლე სიტყვით მიმართა, რომელიც ნ. იმნაიშვილმა გადათარგმნა გერმანულად: „ამხანაგებო! თქვენ ალბათ გათვალისწინებული გაქვთ რუსეთის რევოლუციის პროცესი, მისი ღრმა იარებით და ტკივილებით. რუსეთის რევოლუცია მსოფლიო ომის შვილია. იგივეა გერმანიის რევოლუცია. ჩვენ გერმანელი ამხანაგების მოწაფენი, ვცდილობდით რუსეთის რევოლუცია სწორ კალაპოტში ჩაგვეყენებია და შესაფერი ნაყოფი მიგვეღო, მაგრამ იმედი სავსებით არ გაგვიმართლდა. რევოლუციას უკვე რუსეთის მასშტაბიდან საქართველოში ვაწარმოებთ. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი პოზიცია: თქვენ სულზე მოგვესწარით და დიდი დახმარება გაგვიწიეთ, სულზე მოგვესწრო გერმანიის რევოლუციამ. ჩვენი მასწავლებლების მეოხებით და თქვენი გამოცდილებით იმედი მაქვს ეს რევოლუცია მარტო გერმანიის არ იქნება, არამედ ის იქნება მსოფლიო რევოლუცია. მაშინ ჩვენ უფრო გაბედულად გავსწევთ წინ. ჩვენ მუდამ თქვენთან ვიყავით, მაშინაც კი, როცა რუსეთის თვითმპყრობელობა ხელს გვიშლიდა, დღეს მით უფრო, დღეს ჩვენ თქვენთან ვართ და თქვენთან ერთად წავალთ სოციალიზმის გზაზე".

მეორე ჯარისკაცმა სთქვა: „გულდასმით მოვისმინე პროლეტარიატის გამოცდილ ბელადის ჩხეიძის გონიერი, მოკლე სიტყვა. მართალია, ამ ომმა დაამხო ძველი წესწყობილების ნაშთები რუსეთში, გერმანიაში, ავსტრო უნგრეთში და სხვაგან. ღრმა იმედი მაქვს, იგივე განმეორდება სხვა სახელმწიფოებშიაც. ეს იქნება დიდი და ურყეველი გარანტია ჩვენი გამარჯვებისა. ამხანაგებო! მე მჯერა, ძველის ნანგრევებზე ახლის აშენება ჩვენს პარტიას დააწვება კისერზე და ღირსეულათაც შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას. დადგა დრო ინტერნაციონალის აღდგენისა და გამარჯვებისა! ჩვენ ხელი ხელ ჩაკიდებულნი ერთათ უნდა ვიაროთ. გამარჯვება ჩვენს ძლიერ კავშირშია.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს! (ხანგრძლივი ტაში და ოვაცია) ნემეცი ჯარისკაცები „გაუმარჯოს" და „ჰოხ"-ის ძახილში სტოვებენ დარბაზს.

მერვე ყრილობა

ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

13 ნოემბრის საღამოს სხდომა.

ნ. რამიშვილის მოხსენება.

ნ. რამიშვილი. მეტის მეტად მძიმე ტვირთი დააკისრა სოც. დემ. პარტიამ იმ ამხანაგებს, რომელნიც მთავრობაში გაგზავნა. მეტის მეტ ცუდ პირობებში მოგვიხდა მუშაობა. არ იყო ის ობიექტიური პირობები, რომელსაც შეეძლო ხელის შეწყობა ჩვენი პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად. ჩვენ უნდა გვეკეთებინა ის საქმე, რომლის გაკეთება ბურჟუაზიის საქმეა. აქ მეტის მეტად სიფრთხილე გვმართებდა, რომ ან მარჯვნივ, ან ნამეტნავ მარცხნივ არ გადავხრილიყავით და შეცდომები არ ჩაგვედინა. ჩვენ ღრმათ გვწამდა, რომ ის მთავრობა, რომელიც ობიექტიურ პირობებს ივიწყებს, რეაქციის გაბატონების ნიადაგს უმზადებს, ამიტომ ჩვენი მიზანი კუდმოკვეცილი და თავდაჭერილი იყო. ჩვენ რევოლუციას კვლავ აღარ ვაღრმავებდით, არამედ ვცდილობდით იმის შენარჩუნებას, რაც მოგვცა მან.

მოგეხსენებათ, რომ არაჩვეულებრივ პირობებში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. უმთავრესი თავსამტვრევი საკითხი იყო ოსმალეთის საფრთხის თავიდან აცილება და ომის გათავება. მომხსენებელი აღნიშნავს იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნილ იყო ოსმალების შემოტევის დროს და ამბობს, რომ ჩვენ სუსტნი აღმოჩნდით და ვცდილობდით დიპლომატიური გზებით გვევლო, რათა ომის მუხრუჭიდან გამოვსულიყავით. 28 მაისს შევკარით გერმანიის წარმომადგენელთან პირობა; მართალია, ეს პირობა ჩვენთვის საძნელო იყო, მაგრამ ამან ჩვენ გადაგვარჩინა ოსმალეთის დარბევას. შემდეგ 4 ივლისში ოსმალეთის მთავრობასთან დავდევით ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ჩვენს სუვერენულ უფლებებს ძლიერ კვეცავდა, მაგრამ იძულებული ვიყავით ასე მოვქცეულიყავით. ჩვენ სულ იმის ცდაში ვიყავით, რომ შემდეგში გაგვეუქმებინა ეს ხელშეკრულება და რამდენიმეთ მივაღწიეთ ამას. ბათუმის ხელშეკრულება დარჩა ქაღალდზე. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, იმ გარემოებას, რომ დღიდან საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებისა, ჩვენ გვებრძვიან სომხის ნაციონალისტური პარტია—დაშნაკცაკანები და მუსულმანები, მუსავატისტები. უკანასკნელ ხანებში კი ჩვენ უფრო ნდობით გვეცქეროდა აზერბეიჯანის რესპუბლიკა, მან დაინახა, რომ მისი პოლიტიკა კარგს არ უქადდა მასსას და მთავრობამაც აზრი შეიცვალა, მიუხედავათ ამისა კარგი მეზობლური განწყობილება ჯერაც არ დამყარებულა. რაც შეეხება სომხის რესპუბლიკას, უკანასკნელმა ინციდენტმა დაგვანახვა, რომ მას განაგებს დაშნაკცუტიუნის პარტია, რომელიც ძველს გზას ადგია. ჩვენმა მთავრობამ ეხლა ერთი ნაბიჯი გადადგა და მგონია მიზანს მიაღწიოს—კონფერენციამ უნდა გადასჭრას საკითხი შეთანხმებით, ანუ არბიტრაჟით. შემდეგ ორატორი აღნიშნავს იმას, რომ ჩვენი მთავრობა ცდილობდა, რომ უცხო სახელმწიფოებს ეცნო ჩვენი დამოუკიდებლობა და ჩამოთვლის იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც იცნეს. მომხსენებელი ეხება იმას, თუ როგორ გადასცეს რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა მთავრობას ადმინისტრატიული სახელმწიფოებრივი ფუნქციები და თუ როგორ მოისპო ორმთავრობიანობა. რაც შეეხება დაწესებულებების ნაციონალიზაციის საკითხს, ამან დიდი გაუგებრობა და საყვედური გამოიწვია, განსაკუთრებით მოხელეებისაგან, მაგრამ ჩვენ მაინც იმდენათ ვანხორციელებდით, რამდენათ ეს შესაძლებელი იყო და საქმიანობის პრინციპი მოითხოვდა. მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე, რომ მთავრობას თავის მოქმედებაში ხელს უშლიდა ანარქია და ხშირად შეთქმულებაც (ხიდის აფეთქება) ოსმალეთის მიერ მოწყობილი, მაგრამ მთავრობა მათ წინააღმდეგ ზომებს იღებდა. მართალია, არც მე მაკმაყოფილებდა პირადათ ეს ზომები, ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ გვჯეროდა, რომ მოწინააღმდეგეზე გავლენა მოგვეხდინა სიტყვებით და აგრეთვე სოციალისტური მოქცევით.

დღეს კი საჭიროა მკაცრი ზომები და მთავრობა მას მიიღებს. ჩვენ შევქმენით განსაკუთრებული რაზმი, მაგრამ ყველაფერი ვერ გავაკეთეთ. ორგანიზაცია ვერ მოვაწყეთ. ლტოლვილთა საკითხი დიდი საკითხთაგანი იყო, მაგრამ პარლამენტში ირჩეოდა ეს საკითხი და მე დღეს ამიტომ ამაზე დაწვრილებით არ ვილაპარაკებ. უნდა ითქვას, რომ მთავრობა არაფერ შუაში არის, ის განგაში რომელიც ასტეხეს პრესაში და სხვაგან, მთავრობის წინააღმდეგ, სრულიად უნიადაგო გამოდგა. მთავრობა დამნაშავე იყო იმაში, რომ მან არ მიიღო ზომები იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომელთაც მოაქვთ სენი და სასურსათო კრიზისი. ძალა უნებურათ ჩვენ ამას ხელს ვაფარებდით და ჩვენს ტერიტორიაზე ვინახავდით 300 ათასამდე ლტოლვილს სომეხ ბერძენს და სხვას. რასაკვირველია, სომეხი ლტოლვილები ისეთივე პირობებში იმყოფებიან, როგორიც ქართველი ლტოლვილები.

რაც შეეხება აგრარულ რეფორმას, ამაზე აქ არ ვილაპარაკებ, რადგანაც მოხსენება იქნება ამ საკითხზე.

საერთოდ უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი მთავრობის სისუსტე დამოკიდებული იყო ადგილობრივ ადმინისტრაციის აპარატის სისუსტეზე. ძლიერ საჭიროა ადგილობრივი სასოფლო ადმინისტრაციის მოწყობა. ჩვენ ამას შევუდექით; მაგრამ ჯერ ჯერობით კარგათ მოწყობილი არ არის, იმედი გვაქვს ახლა ერობა ამ საკითხს მოაწესრიგებს. შემდეგ მომხსენებელი ეხება სახალხო განათლების საკითხს და ამბობს, რომ დაარსდა თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას უმაღლესი სწავლა მიიღოს აქ, გაიხსნა სხვა დაბალი სასწავლებლებიც და ერობის საშუალებით მთავრობა ფიქრობს ახლო მომავალში გაატაროს ცხოვრებაში საყოველთაო პირველ დაწყებითი განათლება.

სასამართლო კოჭლობს, მთავრობამ ზოგიერთი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ამ უწყების სისუსტეს ვგრძნობთ.

ფინანსიურ კრიზისზე არას ვიტყვი, რადგანაც ცალკე მომხსენებელი იქნება ამ საკითხზე.

რაც შეეხება სასურსათო საქმეს, ამ საკითხის მოწესრიგებაში მთავრობამ შესაფერი უნარი ვერ გამოიჩინა. ამის მიზეზი თვით ის უწყებაა, რომელსაც სასურსათო საქმე ებარა, ის იყო და განსაკუთრებით მიზეზები სასურსათო საქმის მოუწყობლობისა ჩვენ უნდა ვეძიოთ გარეშე ობიექტიურ პირობებში: ჩვენ გარშემორტყმული ვიყავით მოწინააღმდეგეებით და რასაკვირველია, მან სასურსათო საქმეზე დიდი გავლენა იქონია.

თუ სუსტი ვიყავით და ბევრი ვერ გავაკეთეთ, ეს დემოკრატიის სისუსტის ბრალია. ჩვენ მეტის გაკეთება არ შეგვეძლო მაშინ, როცა საქმეს ხელი მოვკიდეთ, მაგრამ დღეს, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები ირყევიან, დასავლეთის რევოლიუციონური ალი მსოფლიოს ედება, მდგომარეობა საერთოთ გაუმჯობესდება და მოგვეცემა საშუალება დემოკრატიის ძლიერება ცხადვყოთ, მას დავეყრდნოთ და უფრო გაბედული ნაბიჯები გადავსდგათ.

საქართველოს პარლამენტი

15 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

მდივანი კითხულობს დღის წესრიგს, რომლის შესახებაც ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული თხოულობს სიტყვას.

გ. ჟურული. საჭიროა ბონების დაბეჭდვის საკითხი წესრიგის პირველ რიგში დაისვას, რადგანაც ამ კითხვის დღესვე გადაჭრა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. პარლამენტის მიერ მოცემული ემისიონური უფლება ბონების გამოცემის შესახებ, უკვე გათავებული არის და თუ თქვენ ამ კითხვას დღესვე არ გადასჭრით, სახელმწიფო ფინანსიურ მხრით კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდება. არის მეორე მიზეზიც, რაც გვაიძულებს ამ კითხვის დღესვე გადაჭრას. აზერბეიჯანის წარმომადგენელს აქვს უფლება შეკრას ჩვენთან პირობა ბონების დაბეჭდვის შესახებ, ეს უფლება მიცემული აქვს თავის მთავრობის მიერ, მაგრამ რადგანაც ამ ორ დღეში აზერბეიჯანში პარლამენტი გაიხსნება, რომელიც აქნობამდის არ არსებობდა, უფლება ხელშეკრულების დადებისა აზერბეიჯანელის წარმომადგენლის გაუქმდება და ამ კითხვის გადაჭრა გადავა პარლამენტის კომპეტენციაში და ეს კი საქმეს დააგვიანებს. აი, მატონებო, ის ორი მიზეზი, რომელიც გვაიძულებს მოგმართოთ თხოვნით, რათა ბონების დაბეჭდვის საკითხი დღესვე განვიხილოთ.

გ. ჟურულის წინადადება პარლამენტმა მიიღო.

საბოლოო ტექსტი საადგილ მამულო რეფორმისათვის სტატისტიკის შედგენის კანონისა, თანახმათ შ. ამირაჯიბის მოხსენებისა, პარლამენტმა უკამათოდ მიიღო.

კანონ პროექტი გადასახადთა ინსპექციისა.

მომხსენებელი პ. ქავთარაძე.

პ. ქავთარაძე. რესპუბლიკის ხარჯები საგრძნობლათ იზრდება, ერთი საშუალებათაგანი ხარჯების დაფარვისა არის გადასახადთა აკრეფა, რომლისათვისაც არ არსებობს განსაკუთრებული აპარატი ამ საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლათ. გადასახადთა აკრეფა დავალებული აქვს მილიციას, რომელსაც სხვა მრავალი ფუნქციები აქვს დაკისრებული. და, რასაკვირველია, ამ საქმეს ანდომებს მცირე დროს. გადასახადთა ინსპექციას ევალება, მხოლოდ გადასახადთა გაწერა და არა აკრეფა და მას მილიცია არ ემორჩილება; ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტით მყარდება ურთიერთობა ინსპექციის და მილიციის შორის. უკანასკნელი ემორჩილება ინსპექციას და ხარჯების აკრეფას აწარმოებს ინსპექციის ზედამხედველობით. კარგი იქნებოდა განსაკუთრებული აპარატის შექმნა ყველგან, მაგრამ ეს ჯერჯერობით მოუხერხებელია. დიდ ქალაქებში არსდება განსაკუთრებული გადასახადების ამკრეფი მილიცია, მაზრებში და დაბებში ამ ფუნქციების აღსრულება ევალება მილიციას, მხოლოთ ინსპექციას ევალება უფლება რევიზიისა.

ალ. ლომთათიძე. ერთი საკითხი არის, რომელსაც მინდა მოვაქციო პარლამენტის ყურადღება. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამ წარმოდგენილი კანონით არსებითად არაფერი იცვლება. მას მხოლოდ ტეხნიკური ხასიათი აქვს. კანონ-პროექტი ერთგვარ ტეხნიკურ მოსაზრებებზე არის აშენებული, რომლის მიზანიც არის, რაც შეიძლება ჩქარა მოიკრიბოს გადასახადი. მე ვფიქრობ, რომ ამ კანონს არავითარი ცვლილება არ შეაქვს არსებულ ნორმებში და ეს არც უთქვამს მომხსენებელს. არსებულ წესებით გადასახადთა აკრეფა ევალებოდა მილიციას. ეხლა კი, ზოგიერთ ადგილებში ევალება განსაკუთრებულ ორგანოს—მხოლოდ ეს ერთი შესწორება არის შეტანილი. რა საჭიროა ამის განხორციელება კანონმდებლობის გზით, როცა შეიძლებოდა მმართველობის გზით გატარებულიყო. ეს უწყების მოვალეობას და კომპეტენციას შეადგენს, მით უფრო, რომ მილიცია თვითმართველობებს ექვემდებარება. აქ საჭირო იყო მათთან შეთანხმებით კითხვის მოგვარება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი წმინდა ტეხნიკური არის და უწყებანი მართველობის გზით გაატარებდენ. ორატორი მოითხოვს კანონ პროექტის უკან დაბრუნებას.

გ. ჟურული. ჩემის აზრით ამ კანონის დაბრუნება არ არის სასურველი. ამ პროექტში არის ისეთი მუხლები, რომელიც არ შეიძლება გატარდეს მმართველობის გზით. ძველი კანონი არ აძლევდა ინსპექციას რევიზიის უფლებას. ჩვენ გვსურს დაუახლოვოთ ინსპექცია ხარჯის აკრებას.

გადაწყდა კანონ პროექტი განხილულ იქნას, რომელიც უკამათოთ მიიღეს.

კანონ პროექტი გადასახადთა შტატების გამრავლებისა და მის მოხელეთა ჯამაგირების შესახებ.

პ. ქავთარაძე. არსებული შტატები გადასახადთა მოხელეებს ვერ აკმაყოფილებს. საჭირო არის გადასახადთა შტატების გამრავლება, რაიც გააუმჯობესებს საქმეს და ხაზინას მეტს შემოსავალს მისცემს. ეხლა თითო ინსპექტორზე 2366 კაცი მოდის. ამდენ სულზე ხარჯის გაწერა ადამიანის ძალას აღემატება, ესაა მთავარი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ამ პროექტის შედგენა. ამ კანონ-პროექტის ძალით არსდება ახალი თანამდებობანი გადასახადთა ინსპექტორების, მათ შორის სამი თფილისში, ერთი ქუთაისში, ერთი ფოთში და ერთიც შორაპანში. არსდება თორმეტი ინსპექტორთა თანაშემწის თანამდებობანი: 11 თფილისში და ერთიც თფილისის მაზრაში. ამ თანამდებობათა დაწესებას წლის ბოლომდე დასჭირდება 506,167 მან. საერთოდ კი მთელი ხარჯი გადასახადთა ინსპექციისა წლის ბოლომდის იქნება 279,200 მან.—წელიწადში კი 837,600 მ. დაიხარჯება. კანონპროექტი მიიღეს.

კანონ პროექტი საქციზო უწყების ორგანიზაციის შესახებ.

პ. ქავთარაძე ამ კანონ-პროექტით ამიერ-კავკასიის საქციზო უწყებები უქმდებიან და მოხელენი შტატ გარეშე რჩებიან. მის მაგივრათ არსდება საქართველოს საქციზო ორგანო.

კანონ-პროექტი უკამათოდ მიიღეს.

კანონ პროექტი გურიის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის ერთდროული დახმარებისა.

ნ. ცინცაძე. განათლების სამინისტროში ოზურგეთის მაზრიდან ამ სამოსწავლო წელს შუამდგომლობა აღძრეს, რათა ოზურგეთში არსებული უმაღლესი სასწავლებლების შენახვა ეკისრა სამინისტროს თავის ხარჯით. განათლების სამინისტრომ და აგრეთვე პარლამენტის განათლების კომისიამ საჭიროთ სცნო ისეთ საზოგადოებებში სკოლების გახსნა, რომელსაც უკავია ცენტრალური ადგილი, მაგ. ჩოხატაურში, მთავრობის ხარჯით შეინახოს. რაც შეეხება სხვა სასწავლებლებს, ზოგიერთს მიეცეს ერთდროული დახმარება. აცანის, ლიხაურის, ბახვის და ამაღლების სკოლებს, მიეცეს თითოს სამ სამი ათასი მანეთი, სულ 12 ათასი მანეთი. პროექტი მიიღეს.

პროექტი ბონების დაბეჭდვის შესახებ.

ნ. ცინცაძე. მოგეხსენებათ, რომ თანახმათ თქვენი დადგენილებისა, მთავრობას ჰქონდა მინიჭებული საემისიო უფლებები. ეხლა ეს საემისიო უფლებები უკვე ამოწურულია სავსებით. ჩვენ წინაშე დაისვა საკითხი ბონების დაბეჭდვის შესახებ. ჩვენმა მთავრობამ მიიღო ზომები, რომ შეთანხმებულიყო აზერბეიჯანის მთავრობასთან. განზრახულია ორივე სახელმწიფოს პასუხისმგებლობით გამოიცეს 160 მილ. მანეთის ბონები. საფინანსო კომისია დაეთანხმა ამას და გადასწყვიტა გამოიშვას არა 160 არამედ 200 მილ. მანეთის ბონები. ეს კანონ პროექტი შეიცავს საემისიო უფლებების გაგრძელებას, და ხელშეკრულებაც აზერბეიჯანის მთავრობასთან ისეთი იქნება, როგორიც ჩვენ წინად დავდეთ მასთან და სომხეთის რესპუბლიკასთან. განსხვავება იმაშია, რომ ჩვენ წინათ ბონების გამოცემის შესახებ შეუთანხმდით სომხეთს და მერე აზერბეიჯანს. ახლა თუ შესაძლებელი იქნება ასეთსავე პირობას დავდებთ სომხეთთან. კანონ-პროექტით უნდა გამოიცეს 200 მილ. მან. გარდა იმ 580 მილ. მანეთისა, რომელიც უკვე გამოიცა. 100 მილ. დარჩება საქართველოში, 100 მიეცემა აზერბეიჯანს.

კანონ-პროექტის შესახებ იმართება კამათი.

ვეშაპელი. აღნიშნავს, რომ საჭირო იყო იდეა ქართულ ბონების გამოცემის გამხდარიყო პოპულიარული, არ მიაჩნია ნორმალურათ, როდესაც სახელმწიფო სცხოვრობს ისეთი ფულით, რომელიც არის ნაშთი აწ არ არსებულ ამიერ კავკასიის კომისარიატის. შეუძლებელია მიეცეს ნაწილი ფულების მას, ვისთანაც არ არის მდგომარეობა კარგი, შეიძლება ამ გაღებულ ფულის რეალიზაცია აქვე მოხდეს, მოიტანონ საქონელი და ეს კი ცუდ შედეგებს მოგვცემსო. შეუძლებელია ფინანსიური სისტემა აშენდეს შეთანხმებით ისეთ სახელმწიფოებთან, რომელთა არსებობაც არ არის აღიარებული არავის მიერო. და ადვილი შესაძლებელია მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს დააწვესო. ორატორის აზრით, არ არის სახიფათო ქართული ბონების გამოცემა, თუ კი ამ ქარტეხილის დროს შევინარჩუნეთ დამოუკიდებელი საქართველო, გვაქვს საკანონმდებლო ორგანო და მგონია, რომ შესაძლებელი იქნება ქართული ბონების შემოღებაო.

გერ. ქიქოძე (ნაც. დემ.) სანამ ამიერ კავკასია შეადგენდა მთლიან რუსეთის ნაწილობას, რუსეთის საექსპედიციოდან მოხდიოდა წელიწადში მხოლოდ ათი მილიონი, და ეს აკმაყოფილებდა ამიერ-კავკასიას. საქართველოში, სადაც 2—3 მილიონი მანეთი ტრიალებდა, ეხლა ნახევარ მილიარდზე მეტი ტრიალებს. მართალია, გაძვირდა ცხოვრება, მაგრამ ეს გაძვირება გამოწვეულია ქაღალდის ფულის დაცემით. აუარებელი ფული დატრიალდა სოფელში და არავითარ ზომას არ იღებენ, რომ ეს ფული ამოიწუროსო. საჭიროა გადასახადების გადიდება, არ უნდა იყოს შიში საჭირო ნაბიჯების გადასადგმელით, საჭიროა ჩამორთმეული მიწები გაიყიდოს კარგ ფასებში, რომელიც ხაზინას საკმაო თანხას მისცემს. ორატორის აზრით, საჭირო არის ქართული ბონების გამოცემა, რომელიც ხელს შეუწყობდა ფულის დევალვაციასო.

გ. ჟურული. როდესაც ვუსმენ პატივცემულ ორატორებს, რომელნიც კრიტიკას, უკეთებენ ჩვენ ფინანსიურ პოლიტიკას, მე ერთგვარი შური მებადება. რა ბედნიერი ხალხი ყოფილა მეთქი,—სცოდნიათ მათ ის წამალი, რომელიც სახელმწიფოს ფინანსიურ საქმეს გამოაკეთებს. მაგრამ ერთში დავრწმუნდი: კრიტიკა თავდება მხოლოდ კრიტიკით და არ გვაჩვენებენ იმ ზომებს, რომელიც თავიდან აგვაცილებს ფინანსიურ კრიზისს. ინიციატივა კანონმდებლობისა თქვენ ხელში არის და თუ თქვენ გამოსძებნიდით ისეთ წამალს, რომელსაც ჩვენ ვერ მივხვდებოდით და ვერ გავიგებდით, ჩამოგვეცლებოდით გზიდან, მაგრამ მგონია, რომ იმათაც არ მოეძებნებათ ეს წამალი. რაც შეეხება იმის თქმას, რომ ჩვენ ვერ შევძელით გრძელვადიანი გადაწყვეტილება, ქართული ბონების დაბეჭდვას, ეს არ არის მართალი. თუ საფინანსო კომისია არ მიიღებდა ამ პროექტს, ჩვენ შევძლებდით ქართული ბონების გამოცემის ტეხნიკური მხარე მოგვეწყო. მაგრამ ამ ჟამათ ქართული ბონების გამოცემა არ არის ხელსაყრელი ჩვენი სახელმწიფოსთვის და ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობას ვერ გამოაკეთებს. ეს არის სალი აზრი არა მარტო ჩემი, არამედ—ყველა მცოდნე ჩვენი ფინანსისტებისა. აქ მე შიშიანობა დამწამეს. უნდა მოგახსენოთ, რომ არის ობიექტიური პირობები, რომლის გადალახვაც მხოლოდ თავხედობით თუ აიხსნება. მისაყვედურებენ—რატომ გადასახადები არ აკრიფეო. ალბათ არ იციან, ხარჯების აკრეფა არ შედის ფინანსთა მინისტრის უწყებაში, არსებულ კანონებით. რასაკვირველია, იდეა უწყების ის არის, რომ ხარჯების გაწერა და გადასახადის აკრეფა ერთის ხელში იყოს. შეუძლებელია აგრეთვე შინაური სესხის განხორციელება. აქ გამოდიან და ჰკუას გვასწავლიან. კარგი და პატიოსანი, მაგრამ, როდესაც ჰკუას ასწავლიან ჰკუის მასწავლებელს საჭირო ცოდნაც უნდა ჰქონდეს. (ტაში).

ნ. ცინცაძე. არავითარი სერიოზული მოსაზრება არ მოუყვანიათ, რომ ხელსაყრელი იყოს ქართული ბონების გამოშვება. ერთად-ერთი მოსაზრება ქართული ბონების ფეტიშიზმით აიხსნება, ოღონდ ქართული იყოს და სასარგებლოა თუ არა, ამას არ დაგიდევენ. ყველა ის მოსაზრებანი, რომელიც წინათ ამ საკითხის გარჩევის დროს წამოაყენეს, ახლაც მოიყვანეს, მხოლოდ ნაკლები სისასტიკით იცავდენ ეხლა. ორატორი მოითხოვს იქნას მიღებული პროექტი. პროექტი პარლამენტმა მიიღო.

ამის შემდეგ პარლამენტმა განიხილა ნ. თარხანოვის შეკითხვა დაპატიმრებული ბალშევიკების შესახებ, რომლის ანგარიშსაც შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 16 ნოემბერი.

რუმინიის მოუსვენრობა.

რუმინიამ გერმანიას ომი გამოუცხადა. რასაკვირველია, ამის მიზანი ის არის, რომ მას სწადია, რაც რუმინიაში გერმანიის სამხედრო ქონებაა, მას დარჩეს.

კიდევ ვილჰელმის გადადგომის შესახებ.

ვილჰელმის ტახტიდან გადაყენება ფორმალურადაც მომხდარა. დეპეშაა, რომ მან ფიცისაგან ფორმალურად გაუთავისუფლებია მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურენი. პოლიციასაც ახალი ფიცი მიუღია, რომ ის ახალ მთავრობას ემორჩილება.

ვილსონის განცხადება.

პრეზიდენტ ვილსონს ამერიკის კონგრესის სხდომაზე განუცხადებია, რომ ის ყოველმხრივ ეცდება გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა შემსუბუქდეს.

რევოლიუციის მსვლელობა.

ყველა ცნობებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გერმანიის განმანთავისუფლებელ მოძრაობას მშვიდობიანი და ორგანიზაციული ხასიათი აქვს. იყო წინადადება, რომ ბერლინში შექმნილიყო წითელი გვარდია, მაგრამ მთავრობამ და ბერლინის საბჭომ განაცხადეს, რომ ამას საჭიროება არ მოითხოვს, რადგანაც მთელი ჯარი მთავრობის მხარეზეაო.

საფრანგეთის სოციალისტები.

საფრანგეთის სოციალისტები მოითხოვენ, რომ გერმანიის მიმართ იყვეს ძმური განწყობილება, რადგანაც ეხლა იქ დემოკრატიული რესპუბლიკა არისო.

მოლაპარაკება.

სევასტოპოლში გერმანიის საზღვაო სარდლობის და კონსტანტინეპოლში მყოფ ინგლისის საზღვაო სარდლობის შორის მოლაპარაკება გამართული იმის შესახებ, რომ აღდგენილ და უზრუნველყოფილ იქნეს, შავ ზღვაზე წესიერი ზღვაოსნობა, ზავის ჩამოგდების გამო.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

16 ნოემბერი.

გერმანული პრესის ცნობები.

„ბერლინერ ცეიტუნგი" სწერს, რომ დროებითი ზავის 35 პუნქტი თავის შინაარსით და კილოთი მის ინიციატორებს წაუშლელ სამარცხვინო ლაქას სცხებს. „ტეგლიხე რუნდშაუ" ამბობს: დროებით ზავის ახალი პირობებიც სამარცხვინო ძალდატანებაა იმ ერზე, რომელსაც ამ ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი უბედურება გადახდა. ეს პირობები წაუშლელ სამარცხვინო ლაქას სცხებს იმათ სინდისს და ღირსებას, ვინც მოიწადინა დიადი ხალხის ტანჯვა წამება, რადგან დროებითი ზავის ახლად შეცვლილი პირობებიც, ხალხის წამებას და სიკვდილს წარმოადგენს.

დროს გადიდებაც არ კმარა ევაკუაციის მოსაგვარებლათ, რომელიც შესაძლოა სეთ პირობების გამო კატასტროფით დასრულდეს, მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენ უნდა შევასრულოთ პირველი ტექსტის პირობა, გავაძარცვიოთ მტერს თავი და გადავცეთ ლოკომატივები და ვაგონები. გავაძარცვიოთ თავი ისე, რომ ჩვენ არ გვქონეს საშუალება შემოვზიდოთ ქალაქში საჭირო სურსათი.

13 ნოემბერს, 1 საათზე გერმანიის ფლოტის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს რწმუნებული კრეისერ „კენისბერგ“-ით ზღვაში გავიდნენ ინგლისის საადმირალოს წარმომადგენელთა შესაგებებლათ. მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღებს საზღვაო ძალების უფროსი ფონ გიპერი, როგორც ექსპერტი და მრჩეველი.

გერმანიის ჯარის რწმუნებული ოფიცერი ბუდაპეშტიდან იუწყება, რომ უნგრეთის მთავრობამ გერმანიის მე-11 და მაკენზენის არმიებს დღეში 6 მატარებელს აძლევს ჯარის გადასაყვანათ.

ბერლინის პრესა მსჯელობს მთავრობის პროგრამაზე. ყველა მემარჯვენეების ბურჟუაზიული გაზეთი აღიარებს, რომ უპირველეს ყოვლისა მთავრობა უნდა შეუდგეს ეროვნულ კრების არჩევნების მზადებას. გაზეთების უმეტესობა იმ აზრისაა, რომ, თუმცა აღმასრულებელ კომიტეტებში მუშებს და ჯარისკაცებს თანაბარი წარმომადგენელი ჰყავთ, მაგრამ ზომიერ სოციალდემოკრატიის პარტია მაინც შეინარჩუნებს თავის პოზიციას, რადგანაც კვირის არჩევნებზე ჯარისკაცებმა ხმა ზომიერ პარტიას მისცეს, ხოლო მცირე ნაწილმა მემარცხენე სპარტაკულ ჯგუფს. თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა ასეთია: საერთო პოლიტიკური მთავრობა პასუხის მგებელია აღმასრულებელ საბჭოს წინაშე ისევე, როგორც წინანდელი მთავრობა რეიხსტაგის მთავარ კომიტეტის წინაშე. რეიხსტაგი და ფიდერატიული სახელმწიფოთა სეიმები ამ ჟამად მოქმედების გარეშე იმყოფებიან. მათი ფუნქციები და უფლებანი გადაეცემა მომავალ საკონსტიტუციო ყრილობას.

მე 9 სამხედრო სესხზე ხელის მოწერა 10,839,000 მარკას უდრის.

ნეიტრალური პრესა განაგრძობს დროებითი ზავის პირობების სერიოზულათ განხილვას და ერთხმად აღიარებს მის სისასტიკეს. სტოკჰოლმის გაზეთი „სოციალდემოკრატენ“-ში ბრანტინგი ვილსონისადმი მიმართულ სოლფის ნოტის შესახებ ამბობს: ამ კეთილშობილურმა აპელიაციამ, რომლითაც გერმანიის ხალხმა მიჰმართა ვილსონს, რომ იგი დაეხმაროს დროებითი ზავის პირობების შესამსუბუქებლად, ყველა პატიოსნურად მოაზროვნეში თანაგრძნობა უნდა გამოიწვიოს. გერმანიის ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ გერმანიის იმპერიალიზმთან მებრძოლ ერებმა ეხლა გერმანიის ხალხთან არ აწარმოონ ბრძოლა. ვილსონი დეკლარაციების მთელ რიგში კაცობრიობის სინდისზე ლაპარაკობდა და ბრძოლას აწარმოებდა გერმანიის მთავრობასთან, როგორც სხვების დასამონავებლათ, ძალადობას მიმართავდა. ეხლა ამ გადამწყვეტ საათში მას მიმართეს თხოვნით, სთქვას თავის სიტყვა დროებითი ზავის პირობების შესამსუბუქებლად. ეს პირობები უქადის ახალ გერმანიას ყველა იმ აუარებელ კატასტროფას, რომელიც კისერზე დააწვება, გერმანიის ტანჯულ ხალხს. გერმანიის რწმუნებულებმა დროებითი ზავის პირობებზე ხელის მოწერის შესახებ შემდეგი დეკლარაცია გამოაქვეყნეს: გერმანიის მთავრობა აუცილებლათ ეცდება, რომ აღასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დააკისრეს, ქვემორე ხელის მომწერნი რწმუნებულნი აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ პირობებში მათ დაუთმეს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მცირე დრო საევაკუაციოთ, ისე როგორც ტრანსპორტის საჭირო მასალების გადაცემა, საფრთხეში აგდებს პირობათა ასრულებას, რომელიც შეუძლებლათ ჰქმნის (გამოტოვებულია)... დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ უნდა შეწყვეტილიყო მათი ტანჯვა, ვინც კონფლიქტში მონაწილეობას არ იღებდა, სახელდობრ: ქალები და ბავშვები. გერმანიის ხალხს, რომელიც 50 თვის განმავლობაში ბრძოლით თავს იცავდა მთელი ქვეყნისაგან, ყოველგვარ ძალადობის მიუხედავათ, სურს შეინარჩუნოს მთლიანობა და თავისუფლება. 70 მილიონი ხალხი შესაძლოა დაიტანჯოს, მაგრამ მისი სიკვდილი შეუძლებელია. ერცბერგერი, გრაფი ოპერნდორფი, ფონ-ვინტერფელდტი, ფონ-სელოვი.

მას შემდეგ, რაც რევოლიუციის მიერ გამოწვეული მოძრაობა დასრულდა და სიმშვიდე და წესიერება დამყარდა, ახალი მთავრობა ზომას იღებს ეკონომიურის მხრით უზრუნველჰყოს ხალხი.

მთავრობა ყველას საყურადღებოთ აცხადებს, რომ ზოგიერთ ადგილში გავრცელებულ ხმების გამო გამოწვეული შიში, რომ საზოგადოებამ შესაძლოა დაკარგოს ბანკებში და შემნახველ კასებში შეტანილ თანხაზე ყოველგვარი უფლება, სიმართლეს მოკლებულია.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. რევოლიუციონური ფრონტი. მე № არმიის შტაბი. 13 ნოემბერს იჟევიდან შეტევაზე გადასულ ჯარის დახმარებით ჩვენმა ნაწილებმა სოფ. სვეტლოვიდან წინ წაიწია და ვოტკინის ქარხანა დაიჭირა. 13 ნოემბერს, დილის 11 საათზე იჟევის ქარხანა ავამუშავეთ მუშაობა დაიწყო 10,000 მუშამ. თეთრ გვარდიელებმა საჩქაროდ უკან დახევის გამო, ქარხანა დაუზიანებელი დასტოვეს. იჟევის ქარხნის მაქსიმალისტებმა სამხედრო სარევოლიუციო საბჭოს ჩააბარა საბჭოთა მთავრობის ფული 5 მილიონი მანეთი, რომელიც მათ თეთრ გვარდიელებისგან მიწაში დამალათ.

რევოლიუციონური მოძრაობა გერმანიის ჯარში. სადგური სლავნო. სლავნოს რაიონში გერმანელი ჯარისკაცები სარევოლიუციო ლიტერატურას იძენენ. გერმანიის ჯარმა სლავნოიდან ბორისოვისკენ უკან დაიხია სადემარკაციო ხაზიდან 80 ვერსის მანძილზე. ჩამორთმეული საქონელი და საქონლის საკვები მცხოვრებლებს დაუბრუნეს. მაგილიოვი. გერმანელმა ჯარისკაცებმა დასტოვეს დაშკოვკა. ხვალ დასცლიან ბიხოვს, როგაჩევს და ბერლინში მიემგზავრებიან. ბევრი მათგანი იარაღსა და ამუნიციას სტოვებს. კიევი. უკრაინაში გერმანელთა გარნიზონების უმეტეს ნაწილში შესდგა ჯარისკაცთა საბჭოები. ოდესაში ერთი საგარნიზონო საბჭოა, მეორე იმავალი ჯარისა. საბჭოების პრეზიდიუმში მხოლოდ ჯარისკაცებია არჩეული. გერმანიის ჯარის ბინებზე ყველგან წითელი დროშა ფრიალებს. კიევში გამოიცა სავალდებულო დადგენილება, რომლითაც აკრძალულია ქუჩებში და დახურულ შენობებში თავის მოყრა და მანიფესტაციების და დემონსტრაციების მოხდენა. დადგენილებების დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეიარაღებული ძალა ჰყავს. სტაროკონსტანტინოვის, კრემენეცის და დუბენის მაზრებში ავსტრიელთა ჯარის წასვლის შემდეგ უწესოება ხდება. კურსკი. დონის ოლქში, ტაგანროგის ჩრდილოეთით მათვევის გორაკთან გლეხებსა და ყაზახთა დამსჯელ რაზმებს შორის ბრძოლა მოხდა. გლეხები ტყვიისმფრქვევლებიდან ისროდნენ. მოსკოვის ყაზახები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. კრასნოვი დამსჯელ რაზმებს ადგენს. დონის როსტოვი. რევოლიუციის წლის თავის წინა დღეს ქალაქის მუშათა რაიონებში ყაზახთა და აფიცერთა გაძლიერებული დამსჯელი რაზმები ჩააყენეს. ატამანის შავი პოლკი სამი დღის განმავლობაში მუშათა უბნებში და ქარხნებში დადიოდა. ქალაქში ჯავშნიანი ავტომობილები დადიოდა. მუშათა რაიონებში ბევრ ალაგას ჩხრეკა იყო და მრავალი დააპატიმრეს. აღმოაჩინეს იარაღი, ხმლები და ხიშტები. დონის მთავრობამ აკრძალა გერმანიის რევოლიუციის და ვილჰელმის ტახტიდან გადადგომის შესახებ ცნობების გავრცელება. გერმანიის არეულობას გერმანიაში მომხდარ ამბებს უარყოფს სხვადასხვა განცხადებით. მაგრამ გერმანიიდან და ავსტრიიდან ჩამოსული რუსი სამხედრო ტყვეები აცნობენ ხალხს გერმანიაში მომხდარ ამბებს. გერმანიის ჯარი უკმაყოფილოა მით, რომ სამშობლოში გაგზავნას უგვიანებენ. კრასნოვის ბრძანების გამო კონფისკაცია უყვეს ტანისამოსს. გლეხები მოითხოვენ ბურჟუაზიის გაჩხრეკას. დამსჯელი რაზმი ძალით ართმევს ხალხს მაზარას და ჩექმებს.

ვორონეჟი. ვაჭარ მრეწველება ბობროვის მაზრის დაჭერილ ადგილებში დაადგინეს თავისუფალი თანხა და ქონება შესწირონ სამშობლოს მუშათა და გლეხთა მთავრობისგან განთავისუფლების გამო. ბობროვის მაზრაში მძვინვარებენ ყაზახები. უკანასკნელნი სოფელს ადებენ კონტრიბუციას რამოდენიმე ათი ათას მანეთობით და ართმევენ თივა ქერს. ბრესლავი. 12 ნოემბერი. დეპუტატთა საბჭომ აკრძალა კოკარდის და ორდენების ტარება. ბერლინი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ცხარე სხდომა ჰქონდა: ბარტის წინადადებამ, რომ აღმასრულებელი კომიტეტი შესდგეს მხოლოდ დამოუკიდებელთაგან, ცხარე კამათი გამოიწვია. კამათის შემდეგ გადასწყვიტეს აღმასრულებელი კომიტეტი პარიტეტულ საფუძველზე შესდგეს. ლიბკნეხტის სიტყვამ დიდი მღელვარება გამოიწვია. ლიბკნეხტი გმობდა ებერტს და მის მთავრობას. აღმასრულებელ კომიტეტში შედის 6 შეიდემანელი, 6 დამოუკიდებელი და 14 ჯარისკაცი. თავმჯდომარეთ აირჩიეს პოდპორუჩიკი ბალცი. აღმასრულებელი კომიტეტი აწარმოებს საქმეს პანგერმანელთა საბჭოს ყრილობის მოწვევამდე. ლიბკნეხტი აფრთხილებს ჯარისკაცთ არ აირჩიონ დელეგატებათ აფიცრები. ამის შემდეგ შეადგინეს სახალხო რწმუნებულთა საბჭო, რომელიც ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა წინაშე პასუხის მგებელი იქნება. სხდომაზე შეიმუშავეს შემდეგი მიმართვა მუშებისადმი: გერმანია სოციალისტური რესპუბლიკაა. მთავრობაში მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენელნი არიან. დღის ლოზუნგია: დაუყონებლივი ზავი, რევოლიუცია მრეწველობის კაპიტალისტურ საშუალებათა თანდათანობითი და სწრაფ განსაზოგადოებრიობას მოითხოვს... (გაუგებარია და გამოტოვებულია) დეპუტატთა საბჭო ალტაცებით სალამს უძღვნის რუსეთის მუშებს და ჯარისკაცთ, რომლებმაც პირველი ნაბიჯი გადასდგეს და საბჭო ამაყობს, რომ გერმანიის მუშებმა და ჯარისკაცებმა მათ მაგალითს მიჰბაძა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო ძმურ სალამს უძღვნის რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა მთავრობას და გადასწყვიტა განაახლოს ურთიერთობა გერმანიის რესპუბლიკანურ მთავრობასა და რუსეთის მთავრობის შორის და მოელის რუსეთის საელჩოს ბერლინში დაბრუნებას. ციურიხი. შვეიცარიის შინაურ პოლიტიკაში თანდათან ძლიერდება... (გაუგებარია). აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს ჯარის გაყვანას, წინააღმდეგ შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვით იმუქრება. ციურიხის მუშათა საბჭომ დაადგინა, გაგრძელდეს საპროტესტო გაფიცვა და მოითხოვს კრების თავისუფლებას. ბერლინი. ჰოლანდიაში მდგომარეობა მწვავდება. მოელიან საერთო გამოსვლას. ნაუენი. იტალიის მე-3 არმიის ჯარისკაცნი აფიცრებს აღარ ემორჩილებიან. დეზორგანიზაცია განსაკუთრებით იტალიის მე 6 არმიაშია. იტალიის მთავრობა სცდილობს გერმანიის რევოლიუციის შესახებ ცნობების გავრცელებას ხელი შეუშალოს. ადესა. 11 ნოემბერი. ადესასა და სევასტოპოლს შუა ინგლისის წყალქვეშა ნავი გამოჩნდა. გერმანიის ბაირაღით მიმავალ გემებს აფეთქებენ, ხოლო მეზღვაურებს ნაპირზე სხავენ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს სრულ 4 საათზე, დანიშნულია თფ. სოც. დემ. კომიტეტის სასწრაფო სხდომა.

◆ **აფეთქების განზრახვა.** ნოემბრის 13 აღმოაჩინეს თფილისის ტრამვაის ცენტრალურ და თფილისის ელექტრონის სადგურების აფეთქების განზრახვა. საქმე ასე ყოფილა: ერთი მუშა შემთხვევით ამ ორ სადგურის კედლებს შუა იძებდა ჭიაყელებს თევზებისთვის, შენიშნა, რომ მიწაში და კედლებთან რაღაც გძელი არის დაფლული, აგრეთვე კედლებში. ცოტა მოჰქაჩა, შეაგდო ცეცხლში და ნახა აფეთქდა, ეს განუცხადა ამხანაგებს, მოახდინეს ჩხრეკა და იპოვეს კიდევ ასაფეთქებლად დამზადებული ყუმბარები და დინამიტი. მაშინვე მილიცია მოიწვიეს და ტრამვაიელი გვარდიელები, სადარაჯოდ. ნოემბრის 14—15 ღამე 4 საათზე ორი ვიღაც შეიარაღებული კაცი დაეცა დარაჯ გვარდიელს, ალექსანდრე ღრუბელაშვილს და დაუწყო სროლა. იგი დასჭრეს ორ ადგილას, ღრუბელაშვილს სხვებიც მიეშველნენ, მაგრამ ბოროტ-გამზრახველმა თავს უშველა. აფეთქება რომ მომხდარიყო, ერთსა და იმავე დროს განადგურდებოდა ქალაქის ტრამვაის ცენტრალური ელექტრონის სადგური. და აგრეთვე ქალაქის ელექტრონის სადგური. (ს. ს.)

◆ **ინგლის საფრანგეთის მისია.** გუშინდელ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა ინგლის-საფრანგეთის მისიის ჩამოსვლის შესახებ მართალი არ გამოდგა. ეს შეცდომა გამოიწვია გერმანელ ჯარისკაცთა ცნობამ, რომელთაც თფილისის სადგურზე ჩამოსული სომხეთში დანიშნული გერმანიის გენერალური კონსული ბროდე და მისი კანცელარია ინგლისის მისიად მიუღიათ.

◆ **ლტოლვილები.** სამხედრო მინისტრს ბორჯომიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „გუშინ ლტოლვილებმა თავის წრიდან გაგზავნეს ოსმალოს ჯარის უფროსთან სოფ. აგარაში ორი წარმომადგენელი, რომ ლტოლვილებისთვის ნება მიეცა თავიანთ ადგილებში დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ოსმალთა ჯარის უფროსისაგან უარი მიიღო“. გენერალ გუბერნატორი, გენერალ მაიორი მაყაშვილი.

◆ **კარჩიკიანის მოკვლა.** 14 ნოემბერს ერევანში თავის კაბინეტში მოჰკლეს სომეხთა რესპუბლიკის მზრუნველობის მინისტრი, ამიერ-კავკასიის ყოფილ კომისარიატის ფინანსთა კომისარი. როგორც ამბობენ მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე უნდა იყოს მომხდარი.

◆ **ვალ. ჯუღელი** გუშინ, 11 საათზე სოჭიდან თფილისში ჩამოვიდა.

◆ **სომხეთის დიპლომატიურ** წარმომადგენელმა ჯამალიანმა მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს, საერთო სადავო საკითხების გამორკვევამდე მიეცეს მას ნება აღერბეიჯანიდან საქართველოზე გაატაროს სომხეთისთვის 40 ვაგონი ნავთი, 70 ვაგ. მაზუთი და 9 ვაგ. ბენზინი. 20 პროცენტი ამ მასალისა მიეცემა საქართველოს რესპუბლიკასო.

◆ **მოსკოვის ქართველები.** პარასკევს, 15 ნოემბერს მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა 60 ქართველი.

◆ **გერმანელების ეშელონები.** გზათა მინისტრის განკარგულებით ამ დღეებში უნდა გაატარონ ფოთში გერმანელთა 15 ეშელონი.

◆ **მთავრობაში.** 14 ნოემბ. სხდომაზე მთავრობამ დაადგინა დაევალოს ფინანს. მინისტრს მისცეს გზათა სამინისტროს ამა წლის 20 ნოემბრამდე 2,000,000 მილიონი მანეთი რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშების ჯამაგირების დასაკმაყოფილებ ად.

— გაეხსნას შინაგან საქმეთა სამინისტროს ათ მილიონიან ფონდიდან 200,000 მანეთის კრედიტი, რესპუბლიკის მცხოვრებთა სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად და ეპიდემიურ ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

◆ **მთიელთა რესპუბლიკის** ფინანსთა მინისტრ ჯაბაგიემ მიმართა საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტით, სადაც ის ეყრდნობა რა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთან პირად მოლაპარაკებას და ამ კითხვაზე აღერბეიჯანის მთავრობის თანხმობას, აცნობებს, რომ მთიელთა რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს ამიერ-კავკასიის კომისარიატის დამატებითი ბონების გამოშვებაში, საქართველოსა და აღერბეიჯანის მთავრობის საერთო საფუძველზე და სთხოვს ეხლავე მიიღონ ეს დადგენილება მხედველობაში იმიტომ, რომ მთიელთა რესპუბლიკის მთავრობას საშუალება მიეცეს მონაწილეობა მიიღოს მორიგ ბონების გამოშვებაშიო.

◆ **გაფიცვა.** საქართველოს რკინის გზათა გენერალ გუბერნატორი, გენერალ მაიორი ყარალაშვილი ატყობინებს მთავრობას, რომ რკინის გზათა მთავარ სახელოსნოთა მოხელეებმა და მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, ოქტომბრის ჯამაგირის მიუღებლობის გამო.

◆ **გაძარცვის განზრახვა.** 15 ნოემბერს, 4 ბოროტ-გამზრახველებმა მოინდომეს შეფფელის აფთიაქის, ხუდადოვის ქუჩაზე № 8, გაძარცვა. მილიციონერებმა დროზე გაუგეს და 2 მათგანი დააპატიმრეს, რომელნიც აღმოჩნდნენ: მდინარაძე და თავართქილაძე.

◆ **გვამის აღმოჩენა.** 16 ნოემბერს, ღამით, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ვერის ღალმართთან აღმოაჩინეს დამხრჩვალი ქალის გვამი. მიცვალებული შავ ტანისამოსშია ჩაცმული, თითზე აღმოაჩნდა ბეჭედი „მარია“ ს წარწერით.

◆ **კონცერტი.** კვირას, 17 ნოემბერს, 12 საათზე რეალურ სკოლის დარბაზში (ჟუბენი ქ.) ქართულ სამუსიკო საზოგადოება მართავს უფასო კვარტეტ კონცერტს მოსწავლეებისათვის.

◆ **ქართველები დერბენტში.** კავკასიის მთიელთა კავშირის მთავრობას საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა, რომ გაგზავნილია მატარებელი დერბენტში მყოფ ქართველთა საქართველოში გადმოსაყვანად. მინისტრი სთხოვს დახმარებას.

კრებები.

დღეს, 17 ნოემბერს, დილის 10 საათზე, თფილისის პოლიტეხნიკუმის შენობაში № 9 (აუდიტორიაში) შესდგება აღნიშნულ ინსტიტუტის მარქსისტ სტუდენტთა და მსმენელთა საერთო კრება.

— დღეს, დილის 11 საათზე, დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციის კრება.

— დღეს, დილის 10 საათზე, დანიშნულია დურგალ-კალატოზ მხატვართა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება, ბიუროს ახალ ბინაზე, ელისაბედის ქუჩაზე № 14, ოთახი 17. კრების საგანია: 1) უმუშევართა რიცხვის გაგება და მათთვის საქმის აღმოჩენა, 2) ვისთვის რამდენი წყვილი ფეხსაცმელია ანუ ჩითეულობა საჭირო, რომელსაც კავშირი მიიღებს სასურსათო კომისიისაგან.

— დღეს, 17 ნოემბერს, ქიმიის ლექციის შემდეგ, მოხდება ქართულ უნივერსიტეტის საბუნების მეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება (პირველ აუდიტორიაში).

— დღეს, (კვირას), საღამოს 4 საათზე, მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქ. № 3) შესდგება „ახალი კვალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრთა კრება.

— დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, უნივერსიტეტის შენობაში (ანასტასიევის ქ.) ამ.-კავკ. უნივერსიტეტის მარქსისტ-სტუდენტთა საერთო კრება იქნება.

ვაშნარის საძმო სასაფლაო

(მოწოდება)

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენი,
მკვდარათ ის თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.—

როცა ჩვენი ქვეყანა და მრავალ ტანჯული სამშობლო უკიდურეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი, როცა სახელმართო საქმე უკუღმართ გზაზე იყო შემდგარი და თავისუფლების გასაჭედათ ნაშობი რევოლიუცია ძმათა მიერ დანთხეულ სისხლის მორევში იყო შეცურებული, როცა საერთო მოჯანცულობისა და არევ-დარევის გამო ჩვენი თავდაცვის საქმე საბედისწერო წუთებს განიცდიდა, როცა ჩვენი პირადობა, ჩვენი ოჯახი, ჩვენი ქონება, ჩვენი სოციალური თვით არსებობა დაღუპვის კარებზე იყო მიმდგარი—როცა ჩვენი რევოლიუციონური გურია ოზურგეთის აღებით შიგ გულში იყო დაკოდილი მტრის იარაღით, როცა გამხრწნელი ბოლშევიზმის ზედგავლენით შეპყრობილი ნაწილი ჯარის კაცებისა—ვინტოვკებით, „ლეჩკოლკებით“ და სხვა სამხედრო ნადავლით ლაჩრულად გარბოდა პოზიციებიდან და მით კარს უღებდა მადა-გახსნილს ოსმალეთს, რომ მურტალი ხელებით გაენადგურებია მთელი საქართველო, აი ამ ჩვენი ერისათვის საბედისწერო წუთებში ჩვენი ქართველი ჯარის ნაწილებმა ოჩხამურის და ვაშნარის მიდამოებში საარაკო გმირობა გამოიჩინეს და მტრის გაასკეცებულ ძალებს ქართველი დედისაგან სამშობლოს საკეთილდღეოთ აღზრდილი გული გამომეტებით მიუშვირეს. ოჩხამურმა და ვაშნარმა დაუფასებელი ღვაწლი დასდვეს თავის ერის წინაშე; მტერს აგრძნობინეს ქართველი მეომრის იარაღის ძალა, შეუკვეცეს გახსნილი მადა და მით უკვდავჰყვეს თავისი სახელი ისტორიაში. მადლიერი ერი არ დაივიწყებს თავგანწირულ მებრძოლთა გმირებს და როცა პირუთვნელი ისტორიის საშუალებით გაიგებს მათ ფას-დაუდებელ სამსახურს ერის და ქვეყნის წინაშე, კიდევაც აუგებს ხელთ-უქმნელ ძეგლს სამშობლოს დამცველთა უკვდავ გმირთ.

ამ მიზნით ქ. ოზურგეთში სათანადო მთავრობის ნებართვით შემდგარი „ვაშნარში ძმათა სასაფლაოზე ძეგლის ამგები კომიტეტი“, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს გმირთა სასაფლაოზე მიწა, ააგოს შესაფერი შენობა, რომელშიაც უნდა მოაწყოს სამკითხველო და იზრუნოს შესაფერი ძეგლის აგებაზე, მოგიწოდებთ თქვენ, პატივცემულნო მოქალაქენო, რომელნიც აფასებთ ჩვენი ერის, ოჯახის და საკუთარი ფიზიკური არსებობის ხსნას, კარზე მომდგარ განადგურებისაგან. დაჩქარებით მიიღოთ მონაწილეობა ვაშნარის გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად და მიაწოდოთ თქვენი წვლილი კომიტეტს.

შემოწირულება მიიღება: ქ. ოზურგეთში, ქალაქის გამგეობაში, ქალაქის თავთან გიორგი მურვანიძესთან; ერობის გამგეობაში, გამგეობის წევრ შალვა ქოქუასთან; საურთიერთო ნდობის ბანკში, ბანკის დირექტორ რუბენ ჩხაიძესთან. ქუთაისში—კოოპერატივის კავშირში, პლატონ თალაკვაძესთან, საგუბერნიო სადღეღ მამულო კომიტეტის გამგეობაში—ალექსანდრე მითაიშვილთან, ფოთში—ლავრენტი ტულუშთან და ამბროსი ინწკირველთან, თფილისში—ნინო ნაკაშიძესთან, სილიბისტრო თავართქილაძესთან.

კომიტეტის თავმჯდ. გ. მურვანიძე.
წევრები: მ. ნაკაშიძე ვოსკრესენსკაია
და ბეჟან ხუნდაძე.
მოლარე რუბენ ჩხაიძე.
მდივანი შალვა ქეიშვილი.

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ. გ. მურვანიძე.

ძვირფასი მარუსია

15 ნოემბერს, საღამოს ხუთ საათზე მცირე ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ყმაწვილი ქალი მარუსია იოსების ასული ირემაშვილი. ახალგაზრდა მარუსია იყო მოწაფე 1-გიმნაზიის მეოთხე კლასისა და დიდს იმედებს იძლეოდა. მარუსიას განსაკუთრებული ნიჭი ეტყობოდა სიმღერაში. ჯერ კიდევ ბავშვი, 15 წლისა, არა ერთხელ გამოსულა სცენაზე და თავის დამასთან ერთად მშვენიერის ხმით ატკბობდა მსმენელთ. ამ ზაფხულს მუშათა კლუბში „პირ. ნაბიჯის“ მიერ გამართულ საღამოზე აღტაცებაში მოიყვანა მსმენელები თავისი ტკბილი სიმღერით. ულმობელმა სიკვდილმა არ დაინდო ნორჩი პატარა მარუსია. მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო მარუსია.

შენი ნორა.

ქალაქის აფთიაქი

(ხმოსან იაგუჯიანის განცხადების გამო)

ქალაქის საბჭოს 11 ნოემბრის სხდომა.

ამხ. რედაქტორო! ვინაიდან ზოგიერთმა საზოგადო მოღვაწემ თავისი სრულიად დაუსაბუთებელი განცხადებით ისეთ დაწესებულებაში, როგორც არის ქალაქის საბჭო, უკვე შეიყვანა შეცდომაში როგორც ხმოსნები, ისე საზოგადოებაც. სიმართლის აღსადგენათ ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი:

„ქალაქის საბჭოს სხდომაზე 11 ნოემბერს ხმოსანმა იაგუჯიანმა გამგეობის წევრის ბ. ჩერქეზიშვილის მოხსენებაზე, რომელიც შეეხებოდა ქალაქის აფთიაქის ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცებას, განაცხადა: „ქალაქის აფთიაქი იმის და მიუხედავათ, რომ წამლებს იაფათ იძენს ქალაქთა კავშირის საწყობიდან, ფასები მაინც ისეთი აქვს, როგორც კერძო აფთიაქებში. მასთან, კი არ იგებს რამეს, არამედ ზარალობს“. ქალაქის საბჭომ დაადგინა: „დაევალოს ჯანმრთელობის კომისიას შეისწავლოს თუ როგორ არის საქმე დაყენებული ქალაქის აფთიაქში და ორი კვირის განმავლობაში მოხსენება გაუკეთოს საბჭოს“. მე პირადათ როგორც ქალაქის აფთიაქის გამგე და მაშასადამე, დაინტერესებული პირი, დიდათ კმაყოფილი ვარ ასეთი დადგენილებით, რადგანაც იმედი მქონდა როდისმე მოეღება ბოლო იმ გაუგებრობას, თუ არ ვიცი რა [illegible], რომელიც შეიქმნა ამ საკითხის გარშემო. ვალდებული ვარ განვაცხადო, რომ ბ. იაგუჯიანის განცხადება სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს [illegible] კომისიას, რომ ქალაქის აფთიაქი ბევ[illegible] [illegible] ფურო ხელსაყრელ ფასებში, ვიდრე სხვა რომელიმე აფთიაქი. მაგალითად განსაზღვრული ზომა წვეთებისა, რომლებიც კერძო აფთიაქებში ღირს არა ნაკლებ 2 მ. 50 კ. ქალაქის აფთიაქში ღირს 150 კ.—180 კ. სასაქმებელი ზეთი სხვაგან 4—6 მან. მაგიერ ქალაქ. აფთ. ღირს 2 მ. შესახვევი მასალა დოლბანდი სხვაგან არშინი ღირს 5—8 მანეთამდე, ჩვენთან კი 4 მან., ბინტი შესახვევი სხვაგან 8—10 მანეთამდე, ჩვენთან 150 კ.—5 მან. ბამბა გირვანქა სხვაგან 16—20 მან., ჩვენთან 14 მან., დასაფენი კლიონკა სხვაგან 30 მან., ჩვენთან 12 მანეთი.

დღეს, როდესაც წამლების ხარისხი დიდათ დაეცა კერძო დაწესებულებებში, ქალაქის აფთიაქში კი ამ მხარეს აქვს ჩემგან მიქცეული უმთავრესი ყურადღება და მომხმარებელს შეუძლია ჰქონდეს სრული იმედი, რომ ქალ. აფთიაქში მიღებული წამალი ნამდვილია. მე ქალაქის აფთიაქის დანიშნულება ამ ჟამინდელ დროში სწორედ ასე მესმის და ვფიქრობ, რომ ვემსახურები შეძლების დაგვარათ ქალაქის გამგეობას თავისი მიზნის განხორციელებაში, ამ პატარა საქმის წარმოებით. ქალაქის აფთიაქისთვის ვაჭრული ხასიათის მიცემა შეუწყნარებლათ მიმაჩნია. სიმართლეს ღალატობს ბატ. იაგუჯიანი, როდესაც ამბობს, რომ ვითომ მე წამლებს მომქონდეს მარტო ქალაქთა კავშირის საწყობიდან. ძლიერ მცირე ფასებში და ვითომც აფთიაქს მაინც ზარალი მოჰქონდეს ქალაქის კასისთვის. იმ 50,000 მან. ღირებული წამლებიდან, რომლებიც შეიძინა აფთიაქმა თავის მცირე ხნის არსებობის დროს, ქალაქთა კავშირიდან არის წამოღებული მხოლოდ 10,000 მან. დანარჩენი კი შეძენილია სხვებისაგან. მასთან ამ ხნის განმავლობაში მიუხედავად ზემოთ მოყვანილ ფასებისა, აფთიაქმა მაინც მოგება მისცა ქალაქს და არა წაგება. არ შევუდგები აქ ციფრების მოყვანას, ამას ბატ. იაგუჯიანი ნახავს კომისიის შრომაში. შევეკითხები მხოლოდ ბ. იაგუჯიანს,—შეეფერება თუ არა საზოგადო მოღვაწეს, რომლის სიტყვასაც საზოგადოება ანგარიშს უწევს, სთქვას ის, რაც მოადგება ენაზე გაუსინჯავათ. მე მგონია არა და ეს უბრალო ჭეშმარიტება უნდა ესმოდეს ხმოსან იაგუჯიანსაც.

ქალ. აფთ. გამგე თედორე ქარცივაძე.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 7 ნოემბერს შესდგა მესამე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობს: ამხ. ე. ლორია. დღის წეს-რიგში დაისვა შემდეგი კითხვები: კომიტეტის მოხსენება; კოლექტივის სასარგებლოთ დილის გამართვა; მუსდან ყაზაროვის მოხსენება; მცირე კოლექტივის განცხადება.

თფილისის კომიტეტის სხდომის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ევტიხი ლორია, რომელმაც განუმარტა კრებას ყველა ის კითხვები, რომელნიც მიიღო თფილისის კომიტეტმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კოლექტივმა მიიღო კომიტეტის გადაწყვეტილება და გადავიდა მორიგ კითხვაზე.

კრებამ განიხილა, საკითხი დილის გამართვის შესახებ, და დაავალა ამხ. გერმანე მესხიშვილს მომავალ კვირისთვის მოაწყოს ლიტერატურული დილა, რომლის მთელი შემოსავალი გადაიდება მესამე რაიონულ კოლექტივის სასარგებლოთ. შემდეგ კითხვათ განხილული იქნა ნავთლუღის მცირე კოლექტივის განცხადება, რომელიც მოითხოვდა ხელახლა გამოძიებას ამხ. პ. ბოკერიას საქმისას. მცირე კოლექტივი უკმაყოფილო დარჩა საგამომძიებლო კომისიის და კოლექტივის გადაწყვეტილებების და რომ გაუგებრობა თავიდან აეცილებინა, კოლექტივმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „საგამომძიებლო კომისიამ გაუკეთოს მოხსენება ნავთლუღის მცირე კოლექტივს და თუ კიდევ მცირე კოლექტივი საგამომძიებლო კომისიის განმარტებით არ დაკმაყოფილდა, მაშინ ხელმეორეთ გაირჩეს საქმე“. ამხ. მუსდან ყაზაროვმა გაუკეთა კოლექტივს მოხსენება თავის მუშაობაზე, რომელიც იყო გაგზავნილი ს. ველისციხეში ს. დ. ორგანიზაციის მოსაწყობათ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიული მუშაობა განსაკუთრებით ველისციხეში ორი-სამი თვე არის, რაც ჩაისახა. ამ ხნის განმავლობაში მოეწყოთ ორგანიზაციის ბიურო, აირჩიეთ კოლექტივი და საკმაო წევრების რიცხვი იმყოფება ახლა, ბევრ არევ დარევას აქვს ადგილი, ადმინისტრაცია ვერ დგას თავის სიმაღლეზე, თანდათანობით წესიერება მყარდება. ზოგიერთი პასუხისმგებელი პროპაგანდისტები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას“. კოლექტივმა აირჩია კომისია ამხანაგის მუშაობის გამოსაძიებლათ, შემდეგი პირები: გ. მესხიშვილი, პ. ბოკერია, ი. ცომაია.

ი. მეგრელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის გზაზე

(თფ. რკ. გზის საავადმ. ცხოვრებიდან)

არა მგონია ისე აშკარად იყვნენ ავადმყოფები დაუდევრობით არიან სხვა რომელიმე საავადმყოფოში, როგორც აქ არიან. იღებენ ავადმყოფებს, ათავსებენ შიგ და მოვლა და ყურის გდება კი ალაჰმა უწყის. ავადმყოფების პატრონებს, რომ სახლიდან არ მოატანინდეთ ცხელი წყალი, ვინ იცის რამდენი მსხვერპლი იქნებოდა, ან კიდევ სადილს რომ არ უზიდავდნენ, რამდენი მოკვდება მშიერი. ეს კიდევ კარგი, ვისაც პატრონი აქვს ჰყავს და მიაქცევენ ყურადღებას, ვისაც არა ჰყავს —იმან რა უნდა ჰქნას. რაც უნდა ღარიბი ოჯახი იყოს, თუ კი კერძო მოხარში სახლში, აუცილებლათ ერთი-ორი კერძი შემწვარი ექნება. საავადმყოფოში კი იმ დღეს, როდესაც ათავსებენ ავადმყოფს, კერძს არ აძლევენ. პასუხი ასეთია: შენი „პორცია“ არ გაკეთებულა. თვითონ კი ქ-ნი „ეკონომი“ და „სიდელკები“, თავიანთი შვილებითა, ავადმყოფებსაც კი აკლებენ კერძს. როდესაც ექიმმა მიმართა ერთ ავადმყოფს—შენ აგერ თვენახევარი წევხარ, ახლა ხელფეხს ამოძრავებ და უნდა იარო სოლმე, მან უპასუხა: რა ვქნა, მეორე დღეა საჭმელი არ მოუციათ სრულიად და დასუსტებული ვარო.

საჭიროა რომ აქ „ეკონომს“ ყურადღება მიაქციონ, რომ მან ბოროტად არ იხმაროს თავისი უფლება. დღეს, როდესაც რკინის გზის მოსამსახურეები ქრონიკულად შევიწროვებულნი არიან და ამიტომ სახლში ვერ უვლიან ავადმყოფებს, ძალაუნებურად ფულდებით, მოათავსონ საავადმყოფოში იმ იმედით, რომ იქ უკეთ მოუვლიან, მაგრამ იმედი არ უმართლდებათ. მეთვალყურე.

ერთობის უბანი

ეს უბანი თანდათან დიდდება მცხოვრებთა რიცხვით და ამ ბოლო დროს კარგა საგრძნობი ნაწილი გახდა ქალაქის გარეთ მდებარე უბნებთა შორის. რა თქმა უნდა, რომ დიდი უმრავლესობა ღარიბი მცხოვრებლები არიან, ე. ი. მუშები სხვადასხვა დარგში მომუშავენი.

არსებობს კომიტეტი და გვარდიელთა შტაბი და ამ შტაბს თავისი წვლილი შეაქვს რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებაში, ამხანაგ მუშების საშუალებით. და ვფიქრობ, რომ ასეთი მუშების საცხოვრებელ ნაწილს უნდა მიექცეს ყურადღება ქალაქის გამგეობისა წყალსადენების გაყვანით, ქუჩების მოკირწყვლა-განათებით, ქუჩების და ეზოების სისუფთავით და სხ. მაგრამ ელექტრონის გამრავლება-გადიდების მაგივრათ, რომელიც იყო გაკეთებული ჯერ კიდევ 1914 წელს რკ. გზ. ლიანდაგიდან სამოვოლნი ქუჩაზე 200—300 საჟ. ისიც მოხსნეს და ხის ბოძები ძირში დასჭრეს. ეხლა ქუჩა ბნელეთს წარმოადგენს და მუშებისთვის დიდი დანაკლისია, რადგან ღამითვე უხდებათ სამუშაოთ წასვლა. იმედია, რომ ქალაქის გამგეობა იზრუნებს. და ყურადღებას მიაქცევს მუშათა უბნებს, იმ მუშების საცხოვრებლს, რომლის ზურგზე არის გამაგრებული თვით სახელმწიფოს არსებობა.

დეპოელი.

პროვინცია

ჩოხატაური (გურია). განვლილ შიმშილობით ილაჯ გამოლეულ ხალხს დაერია ჯერ გამოურკვეველი რაღაც ჭირი „ისპანკა“ და დღე არ გაივლის ისეთი, რომ კუბოს ქარხნებიდან 10—12 კუბო არ გავიდეს სოფლად. ამ სენს გარჩევა არა აქვს, სულ ერთია მისთვის: მოხუცი, ახალგაზდა თუ ბავშვები—ყველას ხოცავს... წინეთ თუ ხალხი მაინც და მაინც არაფრად აგდებდა უცნაურ ჭირს, დღეს ისეთი საშინარი სახე მიიღო, რომ ხალხი დაფრთხა და ერთმანეთს აღარ ეკარებიან... ვინ არის პატრონი? არის ერთი ექიმი და სამი ფერშალი, მაგრამ ავადმყოფობამ არც ისინი დაინდო და კვირაობით ლოგინზე დაგდო.. ასეც რომ არ იყოს, რა შეუძლია უწამლოთ ექიმს? წამლები კი მოისპო. ის ადგილობრივ არ არის, აქაურ აფთიაქში თუ რამ მზადება მოიპოვება—გაასკეცებულ ფასებში, რაც მიუწვდომელია ღარიბ ხალხისთვის. ადგილობრივი ინტელიგენცია ამ მხრივ ძალზე სუსტი გამოდგა. ის ვერ იჩენს სათანადო მოქმედებას. გულგრილად უცქერიან ასეთ მოვლენას და ამ გულგრილობის წყალობით, ხალხთან ერთად ისინიც მიჰყვნენ მსხვერპლთა სიაში და.. სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში საუკეთესო ამხანაგები დაჰკარგეს...

სამართლიანია მშრომელი ხალხის ჩივილი: „პატრონი არა გვყავსო“ და თან დასძენენ: „რა ქნას მთავრობამ, ის ყველაფერს ვერ გასწვდება და სხვებს ჩვენთვის აღარ სცალიანთო!“

მოწინავე ამხანაგები ვალდებულნი არიან მთავრობასთან ხალხი დააკავშირონ, არა მარტო მშრალი სიტყვებით, არამედ—საქმით. ჩვენ კი ასეთებს ნაკლებად ვხედავთ.

სოფლელი ფიქრობს, რომ სადღაც ჩვენს ქალაქებში აფარებული წამლებია თავმოყრილი, მარა შუამდგომლობის აღმძვრელი—მომტანი, არავინ არის და უპატრონოდ რჩება. აი, ამას ეძახიან „უპატრონობას“.

აქ ხშირად ხდება კრებები, ირჩევა სხვადასხვა კომისიები, მაგრამ უცნაური სენის შესახებ კრინტიც არ დაძრულა—ეს საკვირველზე მეტიცაა.

ორიოდე სიტყვა ჩოხატაურის საზოგადო საავადმყოფოზე. ეს ფრიად მნიშვნელოვანი დაწესებულება არაოდეს არ ყოფილა სასურველ სიმაღლეზე დამდგარი, მარა ამ ჟამად ერთიანად გაპარტახდა... რომ იქ საქმე ვერ არის სასურველად, ეს ყველასათვის ცხადია. საავადმყოფო, რომელიც მეტის მეტ სისუფთავეს მოითხოვს—გაბინძურებულია. კედლები ჩამონგრეული, იატაკი გაურეცხელი და ეზო ხომ ნამდვილ ცხენების ჩიხს ჰგავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ცხენების ჩიხში სისხლით გათხუპნული ბამბები არ ჰყრია, რომელიც აქ თვეობით და კვირაობით დაგროვილა, როგორც საავადმყოფოში, ისე მის ეზოში... ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი? რა თქმა უნდა, ექიმს, რომლის განკარგულებაშია მთელი საავადმყოფო და მისი მოსამსახურეები, მაგრამ აქაც მეტ დანაშავეთ მიმაჩნია მოწინავე ამხანაგები, რადგან იმათ აზრათაც არ მოსვლიათ ერთხელ მაინც გაეფრთხილებიათ ჯერ საქმეში გამოუცდელი ახალგაზრდა ექიმი. ჯერ არაბ და ბაზრის სიბინძურეს ვერ იტანს ადამიანი, მერე დაკეტილ დუქნებში შენახული ძველი და ახალი ბარკის სუნი სწამლავს ხალხს, ამასთან კიდევ მეყასბეების თავგასულობას საზღვარი არა აქვს, სადაც მოეპრიანებათ, იქ ჰკლავენ პირუტყვებს და ყველა ეს ჯოჯოხეთური შეზავებული სიმყრალე ხელს უწყობს სხვადასხვა ავადმყოფობის გავრცელებას.

ყველა ვალდებულია დაეხმაროს ხალხს. საჭიროა უპირველესად ბაზრის განწმენდა. საჭიროა შუამდგომლობის აღძვრა—წამლების მოტანა და ყველა საზოგადოებებში მცირე ხნით მაინც გაიხსნას საფერშლო პუნქტები, რათა ამ საშუალებით ოდნავ მაინც შემცირდეს ხალხთა ჟლეტა!..

მაუქაძე.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ მე-228 ნომერში მოთავსებული იყო ბ. ი. დუმბაძის წერილი, სადაც ის აწერდა რა თავს დაჰრას 4 ოქტომბრის სროლის დროს სასტუმრო „ანგლეტერში“—როგორც მისი წერილიდან სჩანს, მიზეზათ, სხვათა შორის, მეცხრე კომისარიატის მილიციონერებს ასახელებდა ჩემის მეთაურობით. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო, პასუხი ამ წერილისა დამიგვიანდა. საქმე ასე იყო: წასულ ივლისში ცხნეთის და აგურის ქუჩების მოსახვევში მე და ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატის მილიციონერებს ვიღაც უცნობმა ბოროტმოქმედებმა სროლა აგვიტეხეს, რომლის დროსაც სერიოზულად დაიჭრა ერთი მილიციონერი და მსუბუქათ თვითონ მე. ზოგიერთი კერძო ცნობებით, სროლის ამტეხი უნდა ყოფილიყო ვიღაც ოფიცერი დუმბაძე.—ვინაიდან ეს იყო მხოლოდ კერძო ცნობები და ამასთან ერთად კერძოთ მე ვერც ერთ დუმბაძეს თფილისში ვერ ვიცნობდი, ამ შემთხვევისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიმიქცევია, თუმცა მილიციონერები, თავის მხრივ, განაგრძობდნენ დამნაშავეების ძებნას. 4 ოქტომბერს, ელისაბედის ქუჩაზე სრულიად ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ქალაქის დათვალიერების დროს, მეცხრე კომისარიატის მილიციონერებით, ელისაბედის ქუჩაზე ჩვენ წავაწყდით ვიღაც შეიარაღებულ უცნობებს, რომლებიც შეხვედრისთანავე გადახტნენ განზე და დაგვიწყეს მაუზერებიდან სროლა. აქაც მძიმედ დაიჭრა ერთი საუკეთესო მილიციონერი და ისევ ის, რომელიც დაიჭრა ცხნეთის ქუჩაზე, ივლისში.

რადგან ამ შემთხვევაშიაც ანალოგიური ცნობები იყო დუმბაძეზე, ჩვენ უნდა გაგვეჩხრიკა სასტუმრო „ანგლეტერი“, სადაც მიღებული ცნობებით დუმბაძე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ჩვენთვის, როგორც ადმინისტრაციისათვის, სულ ერთი იყო—დუმბაძე იქნებოდა ის, თუ სხვა ვინმე—ჩვენი მოვალეობა მოითხოვდა დამნაშავეების აღმოჩენას და მათ შეპყრობას. ამისთვის მიღებულ იქნა საჭირო ზომები სასტუმრო „ანგლეტერის“ გასაჩხრეკათ.—როცა სასტუმროს მოსამსახურემ მეექვსე ნომრის კარებზე დაუკაკუნა, სადაც ი. დუმბაძეს სძინებოდა, უკანასკნელმა ოდნავ გააღო კარები, მაგრამ რა დაინახა იქვე შეიარაღებული მილიციონერი—მსწრაფლ შეტრიალდა უკან და კარები ისევ ჩაიკეტა. მეორეჯერ განმეორებულმა წინადადებამ ჩვენის მხრივ, რომ მას კარები გაეღო და დაენებებინოდა, ვერ გასჭრა და პასუხის მაგივრათ მხოლოდ სიჩუმე იყო. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი ეჭვები და დაგვარწმუნა იმაში, რომ ნომერში მართლაც ვიღაც დამნაშავე უნდა ყოფილიყო ჩაკეტილი,—სხვაფრივ ჩვენ ვერ წარმოგვედგინა თუ რა იყო მიზეზი დაჟინებითი სიჩუმისა. ამ გარემოებას თუ დავუმატებთ კიდევ იმას, რომ გარეთ მდგარი დარაჯი მილიციონერების სიტყვით, დუმბაძემ გააღო უკანა ფანჯრები (სასტუმრო მეორე სართულზეა და ქუჩის მხრივ პატარა ბალკონი და ფანჯრები აქვს).—და ქუჩას დაუწყო დათვალიერება დაბლა, რომლის დროსაც ჩვენ—შიგნით მყოფთ—მოგვესმა სროლის ხმა—მაშინ ადვილათ წარმოსადგენი იყო, თუ რა მოსაზრებით დაიწყეს სროლა კარებთან მდგარმა მილიციონერებმა. ამის შემდეგაც ბევრმა ხვეწნა-მუდარამ გაიარა ტყუილად. როგორც იყო გათენებისას ქალმა გააღო კარები. ოთახი აღმოჩნდა ბარიკადებით ამოხერგილი, და გვიჩვენა დოკუმენტები. ზემოთ აწერილი პირობების და საქციელის შემდეგ ნომერში კიდეც რომ ვინმე შიგ მყოფი მომკვდარიყო—ადმინისტრაცია არაფერ შუაში იქნებოდა, მაგრამ დუმბაძე მხოლოდ დაჭრილი აღმოჩნდა. კერძოთ ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის, ერთნაირად სამწუხაროა ადამიანის დაჭრა-დასახიჩრება, ვინც უნდა იყოს ის, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ზემო აღნიშნულ მდგომარეობას, ამ შემთხვევაში—ცხადია, ადმინისტრაციის მოქმედება არ ჩაითვლება ყაჩაღურად, როგორც ეს მოქალაქე დუმბაძეს წარმოუდგენია თავის წერილში. რაც შეეხება ნივთების და დოკუმენტების დაკარგვას, რომლებსაც ი. დუმბაძე ადმინისტრაციის წევრის მიერ „მოპარულად და მითვისებულად აცხადებს თავის წერილში, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ იქ იყვნენ არა მარტო „ადმინისტრაციის წევრები“, არამედ—ბევრი სხვა კერძო პირებიც და მე არ მგონია, რომ ასეთ შემთხვევაში მაინცდამაინც ადმინისტრაციის წევრის ქურდობაზე შეიძლებოდეს ხელ-დადებით ლაპარაკი, მაგრამ რაკი ეს ასეა, მე მგონია მოქალაქე დუმბაძეს ამისი დამამტკიცებელი ფაქტებიც ექნება ხელთ, რასაც მე მოვითხოვ ბ. მილიციის უფროსთან წარსადგენათ, რათა დამნაშავე პასუხის გებაში იქმნეს მიცემული და შესაფერად დაისაჯოს. დასასრულ მოქალაქე, ი. დუმბაძის საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ მისი წარმოდგენები მეცხრე კომისარიატის მილიციონერებზე საერთოდ და კერძოთ ჩემზედ—ან შეცდომითია და ან შთაგონებითი; იქ მარტო მეცხრე კომისარიატის მილიციონერები კი არ ყოფილან, არამედ—სხვადასხვა კომისარიატებიდან და სხვათა შორის, კომისარიც პირველი კომისარიატისა, რომლებსაც შეუძლიათ დაარწმუნონ ბ. დუმბაძე, რომ მეცხრე კომისარიატის მილიციონერების მოქმედება ამ შემთხვევაში არ ყოფილა რაიმე განსაკუთრებული წინასწარი მოსაზრებით განზრახული.

კომისარის თანაშემწე გ. ჭკუახელი.

ცნობები

გერასიმე ზაქარიას ძე მეტრეველი მსახურებდა მერდენიკში მე 43 პოლკ. გოსპიტალში, რომელიც გადმოყვანილ იქმნა ქალ. ბაქოში მე 26 ბატალიონში. ეს მე 9 თვეა, რაც მისგან არაფერი ამბავი არის. ვსთხოვ თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: დ. ხარაგოული, შორ. მაზრა, მარიამ ზაქარიას ქვრივს მეტრეველს.

პოდოპრუჩიკი ევსევი ჩიქვანაია, თებერვალში, ამა წლისა, იყო ქ. ადესაში. მის შემდეგ არაფერი არ ვიცით მის შესახებ. თუ ვინმემ რამე იცის, გთხოვთ შემატყობინოთ შემდეგი მისამართით: თფილისი, სახალხის ქუჩა, № 5, რედაქცია „ალიონი“, თომა ჩიქვანაიას.

[illegible]

ვისაც რომ უყვარს ქვეყანა
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ტარიელივით სტირისა,
ის დღეს ჩვენც დაგვეხმარება,
კვნესა მე მისი ჭირისა!

 ვისაც გულს ცეცხლი უნთია
 და განცდა ძალუძს ტკბობისა,
 ვისაც აღმოფხვრა სწადიან
 კაცთა შურის და მტრობისა,
 მოდით, აღვმართოთ ტაძრები
 გონებისა და გრძნობისა!

ვინც უყოყმანოთ შეიძენს
ბილეთებს ლატარიისას,
ვინც ხელოვნებით სულდგმულობს,
ვინც რომ წყაროს ჰსვამს იისა',
ის იგრძნობს განცდას უტკბილესს
უწყნკლო პოეზიისას!

 ვისაც კი უყვარს აკვანი
 ამირან გმირთა-გმირისა,
 ვინც საქართველოს სვე-ბედზე
 ზრუნავს და მისთვის სტირისა,
 ის დღეს ჩვენს ბილეთს შეიძენს,
 კვნესა მე მისი ჭირისა!

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
დოქტორ ა. გ. ლევენშტეინისა.
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპ - გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჰაპების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი ბ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქერო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57 [illegible] ტელ. № 5—77.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საპებით 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი
ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (კორონკოვის ხიდის ახლო)

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

განცხადებანი

პეტროგრადის უნივერსიტეტის
სტუდენტი
ენების კარგათ მცოდნე, განსაკუთრებით ქართულისა და გერმანულის,
ამზადებს მოწაფეებს
გიმნაზიის ყველა კლასისათვის. მისამართის გაგება შეიძლება გაზეთ „შრომის“ რედაქციაში, ი. ტატიშვილთან, ბარონის ქუჩა, № 16. (3—1)

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენირიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნჰენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის აფთიაქის გვერდით

კბილის საექიმო კაბინეთები
თეოდორე საყვარელის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5-6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექ. ქალი რ. ბ. [illegible]
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა [illegible] ავადმყოფთ და იძლევა ხაბეზით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი
გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65

20 გიორგობისთვეს, დილის 11 საათზე,
ყოფილ სამხედრო სასწავლებლის ეზოში გაიყიდება
საჯარო ვაჭრობით
მეოთხე ქვეითა პოლკის საბარგო (обозъ).

სახელმწიფო თეატრი
ოპერა
კვირას, 17 ნოემბერს, დილით.
წარმოდგენილი იქნება **„კარმენი“** ოპერა 4 მოქმედებათ
მონაწილეობას მიიღებენ: მოროზოვა, ვიშემირსკაია, მარკოვი, ინაევი.
დასაწყის დღ. 12 საათზე.
საღამოს
შულგინის, ბ. ზალიბსკის, ფ. ნ. პოლიაევის მონაწილეობით
1) ქ-ნი მატერფლეი,
2) კორწინება მალოროსიაში, ბალეტი.
ფასები ძლიერ დაწეულია. დასაწყისი საღ. 8 საათ. (ძველი დროით).
ა ნ ო ნ ს ი: სამშაბათს, 19 ნოემბერს, „ფაუსტი“.
ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, „ევგენი ონეგინი“.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მშარ. წრე.
სახალხო სახლი.
კვირას, 17 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება:
„იმედის“ დაღუპვა.
დრამა 4 მოქ, ჰაერმანისა, თარგ. დ. მესხისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ს. ანკარა, ე. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ე. იანქოშვილი, ს. რომანიშვილი დვებუაძისა, ქაიურელი; ბ-ნი: ნ. გოცირიძე, დ. ბაქრაძე, მ. მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ი. რომანიშვილი, ა. თავდგირიძე, ა. ივერელი, ნ. ჭანკვეტაძე.
დასაწყისი საღ. 7 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ.-მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათამდე.
შემდეგი წარმოდგენა 22 ნოემბერს. რეჟისორი ალ. ბადრიძე.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“.
დემ. კლ. არს. ქარ. სახ. წარ. მშარ. წრე.
კვირას, 14 ნოემბერს, 1918 წ. წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის მიერ გადმოკეთებული პიესა
I
ბატონი და ყმა
დრამა 3 მოქმ.
II
საუბედურო დებიუტი
ვოდ. 1 მოქმ. თარ. ბ. ახოსპირელისა
ბილეთების ფასი სახალხოა. ბილეთები იყიდება ყოველ დღე კლუბის კასაში.
დასაწყისი სრულ 8 საათზე. რეჟისორი პ. ფრანგიშვილი.
შემდეგი წარმოდგენა 24 ნოემბერს. ქარ. წარ. მშარ. წრის გამგეობა.

ბაქოს ორგ. სოც. დემ. მუშ. პარტიის (მენშევიკების) საყურადღებოთ
ნოემბრის 1 ლ რიცხვებში შესდგა ბაქოდან ჩამოსულ, მენშევიკურ ორგანიზაციის
წევრთა კრება
რომელმაც გამოყო თავიანთ შორის ოთხი პირისაგან შემდგარი კომისია. კრებამ დაავალა კომისიას: 1) მატერიალური დახმარების აღმოჩენა ბაქოდან გადმოხვეწილ ამხანაგებს, 2) ბინების საკითხის მოგვარება, 3) ადგილის შოვნა უადგილოთათვის. ის წევრები, რომლებიც საჭიროებენ კომისიის დახმარებას, უნდა მიმართონ განცხადებით კომისიას. შემდეგი მისამართით: თფილისის საქონლის სადგურის სალარო, დიმიტრი აბაშიძე. (2—1)

მიხეილის ქ. № 129, „პათლოს“ გვერდით
„რეზინის საქირე“
(ფირმა „ტრეუგოლნიკ“).
ვაჭრობა საქირე, როგორც ახალი ისე ძველ ფეხსაცმელს.
კაცის ფეხსაცმლის ხშირი გაკეთებით—20 მანეთი, ქალის—15 მანეთი.
სახელოსნოსთან სწარმოებს არეგირი ფეხსაცმლების და კალოშების შეკეთება („3 ჩიქ“)-24 საათში.

მომხმარებელ საზ. „აღორძინება“-ს
წევრთა საყურადღებოთ
საზოგადოების წევრნი, რომელთაც სურვილი აქვთ ისარგებლონ პრემიით დანაბარჯ საქონელზე [illegible] 1 ოქტომბრამდე, [illegible] წარმოადგინონ ამ წლის თავიდან სამყობო-საანგარიშო წიგნაკი და „ჩეკები“ საზოგადოების კანტორაში (ყოველ დღე) დილის 9 საათიდან შუადღის 1-ლ საათამდე—[illegible] № 12) არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 დეკემბრისა. აღნიშნულ რიცხვის შემდეგ [illegible] დანაბარჯ-საქონლის ჩეკები კარგავენ მნიშვნელობას. ამასთანავე ცხადდება საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ პრემია დანაბარჯ საქონელზე 1 ნოემბრიდან ჩაეწერებათ ყველა წევრებს, [illegible] იმისა წარმოუდგენიან ჩეკებსა თუ არა. (2—1)

ცენტრალური სასურსათო საბჭო
(მადათოვის ქ. № 3 ყოფილი სასურსათო სამინისტრო) აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში
მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში
მარილი მიიღება შეიძლება ქ. თბილისში და ქ. ფოთში. (10—4)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.